ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 27 ივნისი, 2016 №150 (7076) ფასი: 50 თეთრი

## რა მოხდა ლანჩხუთში

მამა გაბრიელი: „პოლიციასთან ხელჩართული ბრძოლა არ ყოფილა“

გვ.6



# თინა ხიდაშელს კობა კობალაძე შეცვლის?



ამ ინფორმაციას სახელისუფლებო წრეებში არ ადასტურებენ, მაგრამ არც კატეგორიულად უარყოფენ. ხელისუფლებასთან დაახლოებულმა წყარომ „ახალ თაობას“ განუცხადა, რომ კობალაძის გამინისტრება ხელისუფლებას არჩევნებისთვის ჯარის გულის მოსაგებად სჭირდება.

გვ.2



## „ევროკავშირის დაშლით შესაძლოა საქართველომ დიდი სარგებლობა მიიღოს“



გვ.4

ზაალ კასრელიშვილი: „ახალი ევროატლანტიკური კავშირი რუსეთს დიდ პრობლემებს შეუქმნის“



## თორნიკე შარაშენიძე: „ნატოს ხომალდები შავი ზღვის პატრულირებას მოახდენენ“

გვ.4



## კახა კალაძე: „ქართული ოცნების“ საარჩევნო სია მზად არის“

გვ.6

გვ.5



## ბიძინა გუჯაბიძე: „ოცნებასთან თანამშრომლობა გვინდა“

ISSN 1987-9385

## ადვოკატებს ეროსი კიწმარიშვილის თვითმკვლელობის ვერსიის არ სჯერათ





ექსპერტები მკვლელობის კვალს ვერ ხედავენ

ადვოკატი მოსიაშვილი: „ეროსი კიწმარიშვილის პირად სივრცეში ვიღაცამ უკანონოდ შეაღწია“



გვ.3

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# თინა ხიდაშელს კობა კობალაძე შეცვლის?

შორენა მარსაგიშვილი






**ვარშავის სამიტის შემდეგ, როგორც ამბობენ, თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი თანამდებობას დატოვებს. რესპუბლიკელები იმედოვნებენ, რომ მათი მინისტრები პოსტებს არჩევნებამდე შეინარჩუნებენ, „ქართულ ოცნებაში“ კი უკვე მათ შემცვლელებს ეძებენ.**

ყველაზე საინტერესო იმის გარკვევაა, თუ ვინ დაიკავებს თავდაცვის მინისტრის პოსტს. ამ თანამდებობაზე ირაკლი სესიაშვილის კანდიდატურა ადრე განიხილებოდა. მისმა გვარმა ამჯერადაც გაიჟღერა, თუმცა სახელისუფლებო კულუარებიდან სხვა ინფორმაციამაც გამოჟონა.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ თინა ხიდაშელს ვეტერანთა დეპარტამენტის თავმჯდომარე კობა კობალაძე შეცვლის.

თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ ხიდაშელი და კობალაძე ბოლო ხანებში ძალიან დამეგობრდნენ. ცოტა ხნის წინ ხიდაშელი მასთან ერთად წავიდა ავღანეთში. თავდაცვის მინისტრი სხვა დროსაც წასულა ავღანეთში, მაგრამ იქ ირაკლი შიხიაშვილი არ წაუყვანია. ვისაც აღარ გახსოვთ, კობალაძემდე შიხიაშვილი იყო ვეტერანთა დეპარტამენტის თავკაცი.

ინფორმაცია კობალაძის გამინისტრების შესახებ სააგენტო ექსპრესნიუსმა გაავრცელა. გამოცემის ინფორმაციით, კობა კობალაძე სამხედრო საქმეებით უფროა დაკავებული, ვიდრე ვეტერანებთან დაკავშირებული საკითხებით.

კერძოდ, ის აქტიურად ჩნდებოდა პოლიგონებზე, სამხედრო წვრთნების დაწყებისა და დასრულების ცერემონიალებზე. უფრო მეტიც, სამი თვის განმავლობაში მას საზღვარგარეთ არცერთი მივლინება არ ჰქონია ვეტერანებთან დაკავშირებით, ხოლო ივნისის დასაწყისში თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელებთან ერთად იგი ავღანეთს ეწვია და „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში მყოფ ჯარისკაცებს ქართულ-ავღანური ლექსიკონები ჩაუტანა.

აღნიშნული ლექსიკონის დაბეჭდვა თვითონ შეუკვეთა და, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით 1.000 ცალი წიგნი დაბეჭდა. ყოველივე ეს საფუძვლიან ეჭვს ბადებს, რომ, შესაძლოა ცოტა ხანში კობალაძე თავდაცვის მინისტრად ვიხილოთ.

ამ ინფორმაციას სახელისუფლებო წრეებში არ ადასტურებენ, მაგრამ არც კატეგორიულად უარყოფენ. ხელისუფლებასთან დაახლოებულმა წყარომ „ახალ თაობას“ განუცხადა რომ კობალაძის გამინისტრება ხელისუფლებას არჩევნებისთვის ჯარის გულის მოსაგებად სჭირდება.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენში თავდაცვის მინისტრებს აშშ-ის ელჩი არჩევს, შესაძლოა, მათ კობალაძე „დაბრაკონ“. მიზეზი მისი რუსული სამხედრო განათლებაა. წლების წინ, შევარდნაძის დროს, მას ამერიკაში სწავლის გაგრძელებაზე ამ მიზეზით უთხრეს უარი.

# საკრებულო 16.620 ბოთლ წყალს ყიდულობს

შორენა მარსაგიშვილი

**დედაქალაქის მერია და საკრებულო თბილისელების გაოცებას აგრძელებენ. მათ მიერ გამოცხადებული ტენდერები საყოველთაო გაოგნებასა და პირის დაფჩენას იწვევდა. იდეებმა მათ არც ცხელ ზაფხულში უღალატა და ისეთი ტენდერი გამოაცხადეს, აშკარაა, საკრებულოს ერის დამარწყულებლის ნომინაციის მოგება სურს.**

**მონიტორინგის ცენტრმა „მედიატორმა“ ძალიან საინტერესო ხელშეკრულება გაასაჯაროვა, საიდანაც ვიგებთ, რომ საკრებულო სტუმრებისთვის 16.620 ბოთლი წყლის შეძენას აპირებს. აქედან 9.168 ბოთლი მტკნარი წყალია, 7.452 ბოთლი კი – მინერალური.**



წარმოდგენილი აპარატის უფროსის ელენე ...
შპს „აიდიეს ბორჯომი თბილისი“ (შემდგომში – მიმწოდებელი), მდებარე: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №10, წარმოდგენილი დირექტორის აკაკი გაგნიძის სახით, ეხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

*1. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი*

1.1 ხელშეკრულების საგანია: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის სამსახურეობრივი საქმიანობიდან გამომდინარე სტუმრების მიღებების, შეხვედრებისა და ღონისძიებების ჩატარების დროს სტუმრებისათვის პროტოკოლით გათვალისწინებული 9 168 (ცხრაათასასსამოცდარვა) ბოთლი სასმელი წყალი „ბაკურიანის“ (0.5 ლიტრიანი პოლიეთილენის ბოთლი) და 7 452 (შვიდიათას ოთხასორმოცდათორმეტი) ბოთლი მინერალური წყალი „ბორჯომის“ (0.5 ლიტრიანი პოლიეთილენის ბოთლი) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
1.2 შესყიდვის ობიექტია: ერთი ცალი ბოთლი სასმელი წყალის „ბაკურიანი“ (0.5 ლიტრიანი პოლიეთილენის ბოთლი) ღირებულებაა- 0.25 ლარი, ერთი ცალი ბოთლი მინერალური წყალის „ბორჯომი“ (0.5 ლიტრიანი პოლიეთილენის ბოთლი) ღირებულებაა- 0.63 ლარი.
1.3 კლასიფიკატორის კოდი: 159 000 00; 159 810 00; 159 812 00.

*2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება: ლარში.
2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 6 986.76 (ექვსიათასცხრაასოთხმოცდაექვსი) ლარს და 76 თეთრს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადისა და გადასახდელის, ასევე ყველა ხარჯის, რომელიც დაკავშირებულია საქონლის შესყიდვასთან) ჩათვლით.

*3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი*

## „დავით ნარმანია კვლევაში ნახევარ მილიონს იხდის“

– საკრებულოს წევრებს ისედაც ჩვენ ვინახავთ. ჩვენს ხარჯზე იწერენ ისინი პრემია-დანამატებს, ყავასა და საწვავსაც ჩვენი ფულით ყიდულობენ. ეტყობა, ესეც ეცოტავათ და ახლა გადაწყვიტეს, წყალიც ჩვენს ხარჯზე იყიდონ. წყალი ხომ მაინც შეიძლება იყიდონ თავიანთი ხელფასით, ან ჩვენი ფულით თუ ყიდულობენ, რაოდენობა მაინც იყოს ცოტა ადეკვატური, რა ამბავია 16.620 ბოთლი წყალი, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში „მედიატორის“ დამფუძნებელმა ლევან ხაბეიშვილმა.

მისი თქმით, 16.620 წყალი ზაფხულის პერიოდზე რომ გადავიანგარიშოთ, გამოდის, რომ დღეში, სულ მცირე, 180 ბოთლი წყალი მაინც უნდა დაილიოს.

ხელშეკრულებაში წერია, რომ ეს წყალი სტუმრებისთვის არის განკუთვნილი. ხაბეიშვილს ამის ნაკლებად სჯერა.

– ვერავინ დამაჯერებს, რომ დედაქალაქის საკრებულოში იმდენი სტუმარი მივიდეს, მათ დასარწყულებლად 16.620 ბოთლი წყალი გახდეს საჭირო. შესაძლოა საკრებულოს წევრები ან ამ წყლით ბანაობენ, ან შადრევანი აქვთ გაკეთებული და იქ ასხამენ. არის კიდევ სხვა ვარიანტი – ვისაც ე.წ. სუშნიაკი აქვს, ყველა იქ მიდის და იმათთვის სჭირდებათ ამდენი წყალი, – ამბობს „მედიატორის“ დამფუძნებელი.

ლევან ხაბეიშვილი ბოლო თვეების განმავლობაში თავისი კვლევებით დედაქალაქის მერიას სისხლს უშრობდა. მისი ქმედებები განსაკუთრებით დავით ნარმანიას ამწარებდა.

ცოტა ხნის წინ მან პოლიტიკაში წასვლის გადაწყვეტილება მიიღო და „ახალი საქართველოდან“ აპირებს კენჭისყრას. როგორც ამბობენ, დავით ნარმანია მას დილა-საღამოს ლოცვებში მოიხსენიებს, რომ პარლამენტში მოხვდეს და მისთვის დრო აღარ დარჩეს.

ნარმანიას ლოცვამ, ეტყობა, ცოტათი გაჭრა, რადგან რამდენიმე კვირაა, „მედიატორში“ ნარმანიასთვის ვერ მოიცალეს, თუმცა ერთ ტენდერს მაინც გამოჰკრეს ხელი.

– ნარმანიას მოსვლის შემდეგ ჩვეულებრივ ამბად იქცა ტენდერის გარეშე, ერთ პირთან მოლაპარაკებების გზით ხელშეკრულებების გაფორმება. ნარმანიას უწყებამ ასეთი ტიპის ხელშეკრულება ცოტა ხნის წინაც გააფორმა, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი.

ხაბეიშვილი განსაკუთრებით იმით არის აღშფოთებული, რომ ლამის ნახევარმილიონიანი ხელშეკრულება კვლევის ჩასატარებლად გაფორმდა.

– იმის მაგივრად, რომ დავით ნარმანიამ საქმე აკეთოს, მოსვლის დღიდან კვლევებს ატარებს. ჩვენ ამასთან დაკავშირებით არაერთი მასალა გამოვაქვეყნეთ. მან გერმანულ კომპანიას 40.000 ევრო გადაუხადა იმაში, რომ მათ ქალაქის კონკრეტულ უბანში დაეთვალათ, რამდენი მანქანა გადაადგილდებოდა. მერე ტაქსისტებზე ჩაატარა კვლევა, ახლა კი თბილისის ერთ-ერთ უბანში ატარებს კვლევას, რაშიც 470.000 ლარს იხდის. რა დროს კვლევა და ცდაა, როცა ქალაქში გზა და კვალი აღარ ჩანს, – ამბობს ხაბეიშვილი.

მისი განმარტებით, ნარმანიას მკვლევრები თბილისის ზღვის სიახლოვეს მდებარე ოლიმპიურ სოფელს უნდა შეესიონ.

– უნდა გაარკვიონ, სად ააშენონ ბაღი და სად – სკოლა. აი, სულ ეს არის ამ კვლევის დანიშნულება. ამაში ლამის ნახევარი მილიონი იხარჯება და ეს იმ დროს, როცა მერიას უამრავი საქალაქო სამსახური გააჩნია, რომელთა უშუალო მოვალეობასაც ამგვარი საკითხების გადაწყვეტა შეადგენს.

არც ის დაგვავიწყდეს, რომ ამ ხალხმა მარტო გასული წლის დეკემბერში 2 მილიონი ლარის პრემია გამოიწერა, – ამბობს „მედიატორისა“ და „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი.

# პარლამენტმა „ამნისტიის შესახებ“ კანონი დაამტკიცა

**პარლამენტმა „ამნისტიის შესახებ“ კანონი მიიღო, რომელიც ვრცელდება და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან თავისუფლდებიან მამაკაცები – 70 წლის, ხოლო ქალები 65 წლის ასაკიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე ჩადენილი დანაშაულის გამო, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მათ ჩადენილი აქვთ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული.**

პროექტის თანახმად, 180-ე მუხლის პირველი ნაწილით (თაღლითობა) და 182-ე მუხლის პირველი ნაწილით (მითვისება ან გაფლანგვა) გათვალისწინებულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან პირი გათავისუფლდება იმ შემთხვევაში, თუ ყველა დაზარალებული ან მისი უფლებამონაცვლე ამ კანონის გამოყენებისას გამოძიების ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ პირზე გავრცელდეს ამნისტია.

ამ კანონით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება ერთნაირად და პროპორციულად ვრცელდება თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ რეალურ სასჯელზე, პირობით მსჯავრსა და გამოსაცდელ ვადაზე, როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელზე, გარდა ჯარიმისა და ქონების ჩამორთმევისა. სასჯელისაგან გათავისუფლებულ პირებს ნასამართლობა მოეხსნებათ საქართველოს



კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამნისტია უნდა აღსრულდეს ამ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში.

აღნიშნული პროექტით, ამნისტია შეეხება იმ ტიპის ნაკლებად მძიმე დანაშაულს, რომელმაც გაუფრთხილებლობით ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. ამასთან, პირს ამნისტია შეეხება იმ პირობით, თუ დაზარალებულის უფლებამონაცვლე ამ კანონის გამოყენებისას გამოძიების ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ ამ პირზე კანონით გათვალისწინებული ამნისტია გავრცელდეს.

ამასთან, ამნისტია არ გავრცელდება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 118-ე (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება) და 344-ე (საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულზე.

პროექტი კენჭისყრაში მონაწილე დეპუტატებმა 77 ხმით – ერთხმად დაამტკიცეს.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ადვოკატებს ეროსი კიწმარიშვილის თვითმკვლელობის ვერსიის არ სჯერათ

## ექსპერტები მკვლელობის კვალს ვერ ხედავენ

ნონა ცაბაძე

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ პროკურატურამ ეროსი კიწმარიშვილის საქმესთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს იყო თვითმკვლელობა. გარდაცვლილის მხარე არ იზიარებს პროკურატურის ვერსიას და დარწმუნებულია, რომ ეროსი კიწმარიშვილი მოკლეს. „ახალი თაობა“ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ესაუბრა დაზარალებული მხარის ადვოკატ გაგი მოსიაშვილს და ექსპერტ მაია ნიკოლეიშვილს.

### გაგი მოსიაშვილი: „გამოძიებას მეტის გაკეთება შეეძლო“

***– დაზარალებული მხარე პროკურატურას უნდობლობას უცხადებს. რა გაძლევთ ამის საფუძველს?***

– ჩვენ არ გვითქვამს, რომ უნდობლობას ვუცხადებთ, ჩვენ ვამბობთ, რომ არ უნდა შეწყვეტილიყო საქმის წარმოება, იმიტომ, რომ ამის სამართლებრივი საფუძველი ჯერ არ ჰქონდათ. პროკურატურამ ვერ დაადასტურა, რომ ადამიანმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. შემაჯამებელ გადაწყვეტილებაში აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები არ ეყრდნობა გამოძიების პროცესში დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

***– რამდენად წამოვა პროკურატურა იმაზე, რომ კვლავ გაგრძელდეს საქმის წარმოება?***

– მე არ მაქვს ამის იმედი. პროკურატურამ შემაჯამებელი გადაწყვეტილება უკვე გამოიტანა. ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ ამ ეტაპზე გამოძიება არ გააგრძელებს მუშაობას.

***– საქმე დაიხურება?***

– ზოგადად პროცესუალურად შეწყვეტა არ ნიშნავს, რომ მთლად დაიხურა და სამუდამოდ ტაბუ დაედო ამ საქმეს. ამიტომ ჩვენ ვაპირებთ, რომ კანონის ფარგლებში გარკვეული ინფორმაციები უფრო დეტალურად შევისწავლოთ, მოვიძიოთ და ამის შემდეგ სამართლებრივად და კანონიერი გზით დავიწყოთ ამ საქმისთვის მიმართულებების ძიება.

გამოძიების პროცესში გარკვეულწილად არ არის დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ისე, როგორც ამაზე შემაჯამებელ გადაწყვეტილებაშია საუბარი.

***– უფრო კონკრეტულად?***

– მაგალითად, როდესაც შემაჯამებელ გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ და განმარტებულია, რომ ეროსი კიწმარიშვილის დნმ აღმოჩნდა სასხლეტზე და ეს არის მტკიცებით ფორმაში ნათქვამი, ეს არ გამომდინარეობს სასხლეტზე ექსპერტიზის დასკვნის და სამართლებრივი წაკითხვის და მსჯელობის ფარგლებში. ვინაიდან სასხლეტზე აღმოჩენილი დნმ შესაძლებელია ეკუთვნოდეს ეროსი კიწმარიშვილს. ასეთი განმარტება აქვს ექსპერტიზას.

***– ანუ ედავებით, თუ რატომ საუბრობენ მტკიცებით ფორმაში?***

– მტკიცებით ფორმასა და შესაძლებლობას, რომელიც არ გამორიცხავს, რომ ეს მისი არ იყოს, სხვაობა დიდია. ამას ემატება ისიც, რომ პირობითად სხვა პირის დნმ-ც არის აღმოჩენილი, თუმცა დადგენილი არ არის, ვისია. ამ მტკიცებით, პროკურატურამ სხვა პირის კვალი, რომელიც შესაძლებელი იყო დაკავშირებულიყო ეროსის გარდაცვალების ფაქტთან, საერთოდ მოსპო.

***– დაზარალებული მხარე საუბრობთ სხვა სახის დაზიანებებზე, რასაც ექსპერტი გამორიცხავს. ამაზე რას იტყვით?***

– ამაზე მე კი არ ვსაუბრობ, ამაზე საუბრობს ექსპერტიზა. ამ ექსპერტიზის დასკვნაში განმარტებულია, რომ დაზიანებები მიყენებულია სიცოცხლის პერიოდში. ახლა საუბრობენ იმაზე, რომ ეს არის სამედიცინო ტერმინოლოგია.

***– ანუ?***

– თურმე ეს მაინცდამაინც არ გულისხმობს იმას, რომ სიცოცხლის პერიოდშია მიღებული ეს დაზიანებები და საუბრობენ იმაზე, რომ ეს დაზიანებები გამოწვეულია ცეცხლსასროლი იარაღით. ანუ მედალს აქვს ორი მხარე და ორივე მხრიდან შეგვიძლია მოვაბათ განმარტების მიმცემმა პირმა კონკრეტული არგუმენტაცია.

ექსპერტიზის დასკვნა ამბობს: თავის არეში, ხელის მტევანზე მას აღენიშნება სიცოცხლის დროინდელი დაზიანებები. დავანებოთ თავის დაზიანებას თავი, პროკურატურამ ხომ გამოაქვეყნა ხელის მტევანი და მასზე აღნიშნული დაზიანება,



ეს დაზიანება რა გარემოებაში აქვს მიღებული, ეს ცნობილი არ არის. კი ბატონო, გასაგებია, რომ სასიკვდილო არ არის, მაგრამ წინაპირობა რა იყო? როდის მიიღო ეს დაზიანება? ან ჰქონდა თუ არა ეს დაზიანება მაშინ, როდესაც ის სახლში იმყოფებოდა?

ეს ამ კუთხით გამოკვლეული არ არის. ამ მიმართულებით საგამოძიებო ორგანოში არავისთვის დაუსვამთ კითხვა. ამიტომ გადაჭრით იმის თქმა, რომ დაზიანება, რომელიც გარდაცვლილს ხელის მტევანზე აქვს, ელემენტარულია და სიკვდილთან კავშირი არ აქვს, არ შეიძლება.

***– ეროსი კიწმარიშვილის პირადი სივრცის დათვალიერებისას რა დასკვნა დაიდო?***

– ექვსი თვის ფონზე ჩატარდა პირადი სივრცის დათვალიერება. ამ შემთხვევაში რა გვაქვს? გვაქვს ის, რომ სანამ საგამოძიებო მოქმედება ჩატარდებოდა და დათვალიერდებოდა პირადი სივრცე, ვიღაცამ უკანონო შეღწევა განახორციელა. რატომ არ უნდა ვიფიქრო, რომ ეს კავშირში არ არის ამ საქმესთან?! ეს ხომ ელემენტარულია.

არის ძალიან ბევრი კითხვა, რომელზეც გამოძიებამ პასუხი ჯერ კიდევ ვერ მიიღო.

***– მაშინ რატომ იჩქარა დასკვნის გამოტანა? რა ინტერესი იკვეთება?***

– არ ვიცი, რატომ იჩქარა. ეს არის უფლება. საგამოძიებო ორგანოს აქვს უფლება, რომ მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, როგორიც მიიღო. ბევრი დისკუსია გვქონდა საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლებთან, ბევრს ვაანალიზებდით. მათ განმარტეს ჩვენთან საუბარში, რომ მათ ამოწურეს მთელი მათი საგამოძიებო მოქმედებები და, გარკვეულწილად, ვერ მიიღეს ვერანაირი ინფორმაცია. ამიტომ გადაწყვიტეს, რომ შეეწყვიტათ საქმე.

***– ეს რამდენად მყარი არგუმენტია?***

– იმის გამო, რომ ინფორმაცია ვერ მიიღეს, ეს არ არის არგუმენტი, რომ საქმის წარმოება შეეწყვიტათ. როცა კითხვები არსებობს, ამ კითხვებზე პასუხი უნდა გაეცეს.

თუნდაც ავიღოთ პიროვნება, რომლის იდენტიფიცირება დღემდე ვერ მოხერხდა. გავრცელებულია მისი აღწერილობა, თუმცა დღემდე არ არის დადგენილი მისი ვინაობა. პირველად თქვენი გაზეთის საშუალებით მოვუწოდებ, თუ რეალურად არსებობს ეს პიროვნება და არაფერ შუაში არ არის, გამოვიდეს და თქვას. იქნებ სოციალურ ქსელებში გავრცელებული ფოტო დაეხმაროს როგორც გამოძიებას, ასევე ჩვენ. ვინ არის ეს კაცი და რა უნდოდა. ეს ადამიანი თუ გამოგვეხმაურება, ეს ეჭვებს ჩვენც გაგვიქარწყლებს. რა უნდოდა იმ პერიმეტრზე?!

***– რომ შევაჯამოთ, არასრულყოფილად ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები?***

– გამოძიებამ საქმის შეწყვეტა იჩქარა, უფრო მეტის გაკეთება შეეძლო გამოძიებას.

◆ ◆ ◆

### მაია ნიკოლეიშვილი: „ეროსის სროლა განხორციელებულია მაშინ, როდესაც ის ცოცხალი იყო“

***– ქალბატონო მაია, თქვენ ესწრებოდით ეროსი კიწმარიშვილის ექსპერტიზას დაზარალებული მხარის მოთხოვნით. რატომ აღარ არის თანხვედრაში პოზიციები, რა მოხდა?***

– მე მხარე არ ვარ, რომ ჩემი პოზიცია ვინმესთან თანხვედრაში იყოს. მე ვარ სასამართლო ექსპერტი და ვეყრდნობი მხოლოდ ფაქტებს და ამ ფაქტების გაანალიზების და შეჯერების საფუძველზე მივდივარ შედეგებამდე. აი, ეს არის ჩემი პოზიცია.

ჩვენ ვმუშაობდით კონსულტირების რეჟიმში. მე დასკვნა, როგორც ასეთი, არ დამიწერია. სამხარაულის ექსპერტიზაში რატომღაც დამსწრის სტატუსი მქონდა, რაც გაუგებარია, მაგრამ ასე იყო. ასე გააკეთა პროკურატურამ და დავუშვით ასეთი სტატუსი. მე დასკვნაზე ხელი არ მომიწერია, ხელი არ გამინძრევია, მხოლოდ ვიდექი და ვუყურებდი. ჩემი მოვალეობა იყო ერთადერთი, რომ გარეთ გამომეტანა ამბავი.

**ადვოკატი მოსიაშვილი: „ეროსი კიწმარიშვილის პირად სივრცეში ვიღაცამ უკანონოდ შეაღწია“**

***– როგორი იყო თქვენი პოზიცია?***

– სანამ დასკვნა დაიბეჭდებოდა, მე მაშინვე ვთქვი, რა იყო და როგორ იყო. ასევე ის მინიშნებები, რომლებიც ექსპერტიზას, შესაძლოა, გვამის გამოკვლევის დროს გამოსდგომოდა. კერძოდ, კუთხე და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

შემდეგ ექსპერიმენტი ჩატარდა. ექსპერიმენტიც ეყრდნობა კონკრეტულ მტკიცებულებებს, იმ შემთხვევაში სისხლის კვლევის, რომელიც ამ კონკრეტული გასროლის შემდეგ განვითარდა. იყო კონკრეტული გარემოებები და მათზე დაყრდნობით გავაკეთეთ ეს.

ჩემი პოზიცია არც უნდა ემთხვეოდეს და არც უნდა ეწინააღმდეგებოდეს არავისას, იმიტომ, რომ მე მხარე არ ვარ. მე ვდებ დასკვნას. აქ მეორე მხარეა, რამდენად მოსწონს ოჯახს და ადვოკატებს ექსპერტების პოზიცია, ან რამდენად ემთხვევა მათ მოლოდინებს.

***– ამ შემთხვევაში როგორ არის?***

– დაზარალებულთან მუშაობა ძალიან რთულია. აქ მტკიცებულებები შენ უნდა მოაგროვო. მე ვეუბნები დაზარალებულს – რა შედეგი იქნება, ეს მე არ ვიცი, მაგრამ რაც იქნება, ის იქნება. თქვენ მოგეწონებათ თუ არ მოგეწონებათ, უკაცრავად, მე ადვოკატი არ ვარ, რომ მე თქვენი ინტერესები გავატარო. შეიძლება თქვენ არ მოგეწონოთ ეს.



**მე ვარ სასამართლო ექსპერტი და ვეყრდნობი მხოლოდ ფაქტებს**

***– რას ნიშნავს, არ მოეწონოთ?***

– ანუ სჯერათ, რომ მკვლელობაა და აღმოჩნდება, რომ იქ არ არის ფიზიკური დაზიანებების ნიშნები და როგორც მათ ჰგონიათ, ყველაფერი ისე არ არის.

***– რა იყო ამ კონკრეტულ შემთხვევაში?***

– ამ შემთხვევაშიც ასეა. რაც იყო, ის არის. ჩემი დასკვნა ეყრდნობა იმას, რაც იყო რეალობაში. მოდით, პირდაპირ ვთქვათ, რომ მათი მოლოდინი იყო მკვლელობა.

***– თქვენი დასკვნა კი მიდის თვითმკვლელობისკენ?***

– შეფასებას უკეთებენ გამოძიება და იურისტები, ჩვენ ამ შეფასებას არ ვაკეთებთ! უბრალოდ ვამბობთ: ჩვეულებრივ პოზიციაში, ადამიანი რომ ზის, ან გარეთ რომ დგას, ამ პოზიციაში იქ არავინ იყო. მაგრამ თუ ერთი ფეხით სადღაც ზევით იყო და მეორე ფეხი იქით ჰქონდა, ასეთ საოცარ პოზიციებზე მე უბრალოდ არ ვმსჯელობ, რადგან ეს არ არის ექსპერტიზა. თუ კვალი არ რჩება, ექსპერტიზამ როგორ უნდა იმსჯელოს?! ან რაზე უნდა იმსჯელოს?!



ექსპერტიზა რებუსი კი არ არის. საქმის გამოძიება და საქმე არის სხვა რაღაც. როდესაც ამბობ, რომ აქ ვიღაც აუცილებლად იქნებოდა და მოგყავს არგუმენტაცია ამის და ამის საფუძველზე, კი ბატონო, ხოლო თუ უბრალოდ ამბობ, რომ არ მჯერა, ეს ექსპერტული აზროვნების კატეგორიაში არ განიხილება. არ მჯერა ერთია, მაგრამ ამას დასაბუთება სჭირდება. მე ჟვანიას საქმეში რატომ ვთქვი – არ მჯერა?!

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ დილის 6 საათზე, ლაბორატორიული კვლევის გარეშე, ცეოს ვერ დაადგენდა ვერავინ. ეს იყო ნათქვამი ყოველგვარი არგუმენტის გარეშე, ამიტომ მე მქონდა სრული უფლება, არ დამეჯერებინა! შემდეგ როდესაც გამოაცხადეს, რომ ცეოს კონცენტრაცია იყო 20%, მე სრული უფლება მქონდა, არ დამეჯერებინა, იმიტომ, რომ არგუმენტიც მქონდა ამ არდაჯერების – 20% არ კლავს.

ჩემი მუშაობის სტილი ასეთია: როდესაც მე არ მჯერა, ვამბობ, რატომ არ მჯერა და ვდებ არგუმენტებს. სხვანაირად არ შეიძლება. ამ შემთხვევაში, მუშაობის შედეგები, რაც გამოიკვეთა ექსპერტიზებით, არ შეესაბამება ოჯახისა და ადვოკატების მოლოდინებს და მათ რწმენებს. მათი რწმენა და მოლოდინები არის სხვა.

***– საუბარია კიდევ სხვა დაზიანებებზე თავისა და ხელის მტევნის მიდამოებში. ამაზე რას იტყვით?***

– წარმოიდგინეთ, ბარძაყში ცეცხლსასროლი დაზიანება, სადაც ტყვია შევიდა და გამოვიდა, სადაც გაიარა, იქ სისხლჩაქცევები ხომ არის, არა? შესაძლოა, მოტეხილობაც იყოს. სხვანაირად როგორ შეიძლება ტყვიამ გაიაროს, ძვალი არ მოტეხოს და იქ სისხლჩაქცევა არ იყოს?!

აქაც ზუსტად იგივეა. აქ არის მძლავრი იარაღი, მე იარაღის ნახვამდეც ვთქვი, რომ ეს იმდენად მძლავრი იარაღია, ისეთი წნევა განავითარა, რომ, ფაქტობრივად, თავი შიგნიდან აფეთქდა. ყველა ძვალი დაამტვრია. ეს შესავალი იყო, გამოსავალი იყო, რომ გზად დაამსხვრია ძვლები და ის სისხლჩაქცევები არის მათ შესაბამისად რბილ ქსოვილებში. ჭრილობის არხის გზაზე, რა თქმა უნდა, არის სისხლჩაქცევები.

***– რომ არ ყოფილიყო ეს სისხლჩაქცევები?***

– მაშინ სულ სხვა გზით წავიდოდით და ვიტყოდით, რომ ის ვიღაცამ მოკლა და შემდეგ ესროლა. როდესაც არ არის სისხლჩაქცევები, მაშინ ვამბობთ, რომ ეს ყველაფერი მოხდა სიკვდილის შემდეგ.

ეროსის სროლა განხორციელებულია მაშინ, როდესაც ის ცოცხალი იყო. რაც შეეხება ხელზე ნაჭდევს, ეს ნაჭდევი იყო დაახლოებით ქინძისთავის ოდენა, ჩემთვის საინტერესო იყო, რომ ეს ხომ არ იყო ინექციის კვალი და არ აღმოჩნდა ეს ინექციის კვალი ანუ ნანემსარი არ იყო და ეს იყო რამდენიმე საათით ადრე მიყენებული, არა უშუალოდ სიკვდილის წინ და შემთხვევის ადგილზე, არამედ საათებით ადრე.

რამდენადაც მე ვიცი, გამოძიებას დადგენილი აქვს, მისი მეგობრები ამბობენ, რომ ერთად იყვნენ კაფეში და იქ მან ხელი დაიზიანა. „სანტავიკი“ გადააკრესო, ასე მითხრეს.

***– გამოდის, რომ არ უნდა იყოს კითხვის ნიშნები ამ დაზიანებებთან დაკავშირებით?***

– ჩემი აზრით, არც არის ეს კითხვის ნიშნები. ზოგადად მოლოდინები და რწმენები დაზარალებული მხარის არ შეესაბამება იმ სურათს, რაც ჩვენ მივიღეთ. უფრო ზუსტად, რწმენებს არ შეესაბამება. ბრალდების მხარე ყველაფრის საშუალებას იძლეოდა, რაც ვთქვით, აბსოლუტურად ყველაფერი გაგვაკეთებინა და მივიღეთ ის შედეგი, რაც მივიღეთ.

ექსპერტები, ვინც კი მონაწილეობდა ამ კვლევებში, აბსოლუტურად ერთი ერთში ვართ სინქრონულები, ოჯახის რწმენები არის განსხვავებული და რა ვქნა?! მოვიტყუო? ან მოვატყუო ვინმე, რომ მე მეეჭვება? რატომ უნდა მოვიტყუო?! ამას მე არ ვკადრულობ, არასოდეს! ჩვენი გამოკვლევებით, ეს ასეა! მორჩა და გათავდა! მე ვალდებული ვარ ვთქვა სიმართლე, იმიტომ, რომ მე არ ვარ მხარე, მე ვარ ექსპერტი!

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# თორნიკე შარაშენიძე: „ნატოს ხომალდები შავი ზღვის პატრულირებას მოახდენენ“

ნათია ხურცილავა





8-9 ივლისს ვარშავაში ნატოს სამიტი გაიმართება. უნდა ველოდოთ თუ არა მაპს? – ამ საკითხზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი, ჯიპას პროფესორი თორნიკე შარაშენიძე საუბრობს.

**თორნიკე შარაშენიძე:**

– სამწუხაროდ, ნატოს ვარშავის მორიგი სამიტი ჩვენს ხარჯზე არ იქნება გაფართოების სამიტი. ახალ წევრებს მიიღებენ, მაგრამ ეს არ იქნება საქართველო.

***– არც მაპი იქნება?***

– სამწუხაროა, მაგრამ მე კვლავ მიწევს იმის თქმა, რომ არც მაპი იქნება.

***– ამ სამიტზე რამე ხელშესახებს მივიღებთ თუ ალიანსის მხრიდან ისევ იქნება „ღია კარის“ პოლიტიკის დეკლარირება?***

– ამ სამიტზე ჩვენ ველოდებით ძალიან მნიშვნელოვან შედეგს და ეს მართლაც არის ხელშესახები შედეგი. ნატო დაიწყებს ახალ ოპერაციას და ეს იქნება შავ ზღვაში პატრულირების ოპერაცია, რომელიც შავი ზღვის აკვატორიის უსაფრთხოებას დაიცავს.

ნატოს ეს ინიციატივა იქნება ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის. ჩვენ არ ვართ ნატოს წევრი სახელმწიფო და ჩვენზე არ ვრცელდება ნატოს უსაფრთხოების გარანტიები. საქართველოში არ არის განლაგებული ნატოს სამხედრო ბაზები და ერთადერთი, ყველაზე ქმედითი უსაფრთხოების გარანტია შეიძლება იყოს შავ ზღვაში ნატოს წევრი სახელმწიფოების გამოჩენა.

***– კონკრეტულად?***

– კონკრეტულად აქ იგულისხმება ის, რომ ნატოს წევრი სახელმწიფოების ხომალდები მუდმივად იქნებიან ჩვენთან და ისინი მოახდენენ პატრულირებას შავ ზღვაში. ეს იქნება ძალიან სერიოზული ნაბიჯი, რომ შავი ზღვა იყოს დაცული და ჩვენც ვიყოთ დაცული.

***– აქამდე მსგავსი ინიციატივა ნატოს არ ჰქონია?***

– აქამდე ნატოს შავ ზღვაში პატრულირება არასდროს ჰქონია. ნატოს ხომალდები პატრულირებდნენ ხმელთაშუა ზღვაში, მაგრამ არა შავ ზღვაში, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი რეგიონია ნატოსთვის.

***– ამით შემოიფარგლება ნატო?***

– ალბათ, ერთ-ორ კარგ სიტყვასაც გვეტყვიან და თავზეც გადაგვისვამენ ხელს, თუ რა კარგები ვართ. უფრო მეტ პროექტშიც ჩავერთვებით და ამაზე გაკეთდება განცხადებები.

***– მაპის არმიღება საზოგადოებისთვის შეიძლება გახდეს მორიგი იმედგაცრუების საფუძველი?***

– არა მგონია. საქართველოს მოქალაქეები უკვე მიეჩვივნენ ამგვარ დამოკიდებულებას. საკმაოდ ნელი ნაბიჯებით მივდივართ წინ და ეს უცხო არ არის ჩვენი საზოგადოებისთვის. სამწუხაროდ, თანამედროვე სამყაროში, ევროპაში პროცესები არ არის ისეთი მარტივი და ადვილად გასაგები და ასახსნელი.

***– რამდენად არის შესაძლებელი, რომ მაპის გვერდის ავლით გავხდეთ წევრი? თუ იყო აქამდე მსგავსი პრეცედენტი?***

– მას შემდეგ, რაც ნატოს დეკლარაციაში ჩაიწერა, რომ სწორედ მაპი არის გაწევრიანების გზაზე ერთადერთი შესაძლებლობა, მსგავსი ფაქტი, რომ მაპის გარეშე სახელმწიფო წევრი გამხდარიყო, არ ყოფილა.

მაპი არის პოლიტიკური გადაწყვეტილების საგანი და ამიტომაც ვერ ვიღებთ ამდენი ხნის განმავლობაში მას. რაც შეეხება ტექნიკურ ნაწილს, ჩვენ ყველაფერი შესრულებული გვაქვს, მაგრამ ფაქტი ფაქტია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება უნდა მიიღონ ნატოს სახელმწიფოებმა, უფრო სწორად კი – გერმანიამ და საფრანგეთმა.

სამუშაოები, პირველ რიგში, არის არა ნატოს შტაბბინაში, ბრიუსელში, არამედ ბერლინსა და პარიზში. სწორედ ამ დედაქალაქებში უნდა იყოს ჩვენი ხელისუფლების მთავარი ფოკუსი და არა – ბრიუსელში.

# „ევროკავშირის დაშლით შესაძლოა საქართველომ დიდი სარგებლობა მიიღოს“



## ზაალ კასრელიშვილი: „ახალი ევროატლანტიკური კავშირი რუსეთს დიდ პრობლემებს შეუქმნის“

შორენა მარსაგიშვილი



რატომ გადაწყვიტა დიდმა ბრიტანეთმა ევროკავშირიდან გასვლა, რა სარგებლობას მოუტანს საქართველოს ევროკავშირის სახეცვლილება, გახდება თუ არა ნატო უფრო ქმედებაუნარიანი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

**ზაალ კასრელიშვილი:**

– დაახლოებით 1.5 წლის წინ „ახალ თაობასთან“ საუბარში ვთქვით, რომ ახლო მომავალში ევროკავშირი ფორმას შეიცვლიდა. მაშინ ვივარაუდეთ ისიც, რომ პირველი ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთი გავიდოდა. ამ თემაზე ჩვენი პოლიტიკოსების ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები სასაცილოც კი აღარ არის. ეტყობა, ჩვენში პოლიტიკოსობა შიდა ინტრიგების ხლართვას ითვალისწინებს მხოლოდ, გლობალური აზროვნებისთვის კი ბევრს მასშტაბები არ ჰყოფნის.

ცივი ომის დასრულების შემდეგ ნატოს ფუნქციები შესუსტდა და ამის ფონზე გაძლიერდა ევროკავშირი. მას შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ აგრესიული ქმედებები განახორციელა, ნატოს როლი ისევ გაიზარდა. ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ევროკავშირზე მეტი ფუნქცია შეიძინა და მოახერხა კიდეც მისი გადაფარვა. ევროპელების უსაფრთხოება ნატოს ქვეშ უფრო დაცულია, ვიდრე – ევროკავშირის.

***– ევროკავშირის ქვეყნები ნატოს წევრებიც არიან და რატომ არ იქნება ევროპელების უსაფრთხოება დაცული?***

– განსხვავება ისაა, რომ ევროკავშირი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული კავშირებია, ნატო კი – თავდაცვა და უსაფრთხოება.

***– გასაგებია, რომ ნატო თავდაცვა და უსაფრთხოებაა, მაგრამ ევროკავშირი რაში უშლის ნატოს ხელს?***

– ევროკავშირის მიერ ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ ისეთი კონვენციებია მიღებული, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ისლამური სახელმწიფოს გაძლიერებისა და ევროპაში მიგრანტების შესვლის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ევროკავშირი გამოწვევებს ვეღარ პასუხობს. აი, ამიტომაც გადაწყვიტა დიდმა ბრიტანეთმა ევროკავშირიდან გასვლა. ამ ნაბიჯით მათ დაამტკიცეს, რომ როგორც ევროპაში, ასევე მსოფლიოში ერთ-ერთ ლიდერ ქვეყანას წარმოადგენენ.

***– დიდი ბრიტანეთი ბოლომდე ევროკავშირის წევრი არც ყოფილა. სხვა თუ არაფერი, მათ ევრო არ მიუღიათ.***

– მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ვალუტა შეინარჩუნეს, ისინი ამ გაერთიანების სრულუფლებიანი წევრები იყვნენ. მათი ვალუტა ყველაზე ძლიერია და ამ ქვეყანას ევროკავშირში წამყვანი როლი ეკავა. მარტო ის რად ღირს, რომ ფუნტი სტერლინგის განწყობაზეა დამოკიდებული დოლარის კურსი. ამას დავამატოთ ისიც, რომ საფონდო, ოქროსა და ძვირფასი ქვების ბირჟები სულ ლონდონშია განლაგებული.

ბრიტანეთი მონარქიული ქვეყანაა და ყოფილ კოლონიებზე მათი გავლენა ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ევროპული ქვეყნისა. აქედან გამომდინარე, მათი საგარეო პოლიტიკაც სხვებზე უფრო ანგარიშგასაწევია. ამიტომაც გასაკვირი არ არის მათი გადაწყვეტილება.

იმის შესახებ უკვე მოგახსენეთ, რომ ევროკავშირის ადამიანის უფლებათა დაცვის ქარტია ევროპის მოსახლეობას რადიკალური ისლამისტებისა და მიგრანტებისგან, ფაქტობრივად, დაუცველს ტოვებს. ევროკავშირიდან გასვლის შემდეგ ინგლისს იმის უფლება ექნება, რომ ევროპული კონვენციის ზოგიერთ მუხლზე თქვას უარი.

***– რა მუხლებზე შეიძლება თქვან უარი?***

– თუნდაც უარს იტყვიან მიგრანტების მიღებაზე. უპრობლემოდ შეძლებენ რადიკალი ისლამისტების აღრიცხვასა და საჭიროების შემთხვევაში მათ დეპორტაციას. თავდაცვისა და უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით ინგლისს ხელ-ფეხი ეხსნება.

***– როდესაც თქვენ ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის შესაძლო გასვლაზე საუბრობდით, მაშინ განაცხადეთ, რომ ისინი ამერიკასთან ერთად შექმნიდნენ ანგლოამერიკულ კავშირს. ახლაც ასე ფიქრობთ თუ ახლა მათ სურვილს უსაფრთხოების ზომების გაძლიერებას უკავშირებთ?***

– იმავე მოსაზრებაზე ვრჩებით ახლაც. ამერიკა და ინგლისი მაინც ერთნაირად უყურებენ პროცესებს. რადიკალური ისლამის მიმდევრების წინააღმდეგ ბრძოლის მოტივი და კიდევ მრავალი რამ მათ გაერთიანების საფუძველს აძლევს. საინტერესოა ისიც, რომ თავის დროზე ინგლისი და ამერიკა იყვნენ უკრაინის უსაფრთხოების გარანტები, როცა უკრაინამ უარი თქვა ბირთვულ იარაღზე.

რუსეთმა ყირიმის ოკუპაცია მოახდინა და ამაზე აუცილებლად უნდა იყოს რეაგირება. ანგლოამერიკული კავშირი აუცილებლად შეიქმნება, სადაც ადამიანების უსაფრთხოების დაცვა იქნება მთავარი. ევროკავშირს ამ საკითხზე ცოტა მეტი რომ ეფიქრა, შესაძლოა, არც დიდი ბრიტანეთი გასულიყო და არც ტერაქტები მომხდარიყო ევროპაში.

***– დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლას თქვენ მაინც იმას უკავშირებთ, რომ ევროპა რადიკალ ისლამისტებს სათანადოდ ვერ უმკლავდება, თუმცა, როდესაც პირველად ეს განცხადება გააკეთეთ, მაშინ ევროპაში მსგავსი არაფერი ხდებოდა.***

– ისტორიის მცოდნენი დამეთანხმებიან, რომ დიდი ბრიტანეთისა და ისლამური სახელმწიფოების წარსული ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული – ისლამურ სამყაროში პირველი კოლონიზატორები სწორედ ისინი იყვნენ. ამდენად, ბრიტანელებს იქ მიმდინარე პროცესებზე სხვებზე მეტი ინფორმაცია ჰქონდათ. თავს მხოლოდ იმიტომ იკავებდნენ, რომ ელოდნენ, ევროკავშირის ხელმძღვანელობა რამდენად სწრაფ და ეფექტურ რეაგირებას მოახდენდა ამ ტიპის საფრთხეებზე.

ევროკავშირი მსგავსი საფრთხეებისგან სრულიად დაუცველია. ევროპელები მათ მიერვე მიღებული კანონების გამო აღმოჩნდნენ დაუცველობის ტყვეობაში.

ჩვენ მაშინ განვიხილავდით 2 ვარიანტს. ანგლოამერიკული კავშირი შეიქმნებოდა, რომელიც დანარჩენ მსოფლიოს ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნას შესთავაზებდა. ახლა თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროატლანტიკური კავშირის შექმნის პროცესი უკვე დაწყებულია. არ გამოვრიცხავთ, რომ ევროკავშირში დარჩენილმა ქვეყნებმა ამ ახალ გაერთიანებაში შესვლა მოითხოვონ.

ევროატლანტიკური ეკონომიკური სივრცე იქნება ახალი ტიპის გაერთიანება. ის ახალი ტიპის ლობი გახდება ნატოსთვის და ნატოც იძულებული იქნება, სწრაფი ტემპებით მოახდინოს შესაძლებლობების რეალიზება. ეჭვიც არ გვეპარება იმაში, რომ ეს გაერთიანება რუსეთის მიერ დაანონსებული ევრაზიული კავშირის უპირობო ალტერნატივა გახდება.

***– რატომ გგონიათ, რომ უპირობო ალტერნატივა იქნება?***

– აშშ, სამხრეთ ამერიკა, კანადა და პლუს ამას 500-მილიონიანი ევროპა, მივიღეთ ევროატლანტიკური 2-მილიარდიანი მდიდარი სივრცე. ეჭვი გვეპარება, რომ იგივე ჩინეთი ან ინდოეთი 140-მილიონიანმა ღარიბმა რუსულმა ბაზარმა მოხიბლოს. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ევროატლანტიკურ სივრცეში უფლებებიც და უსაფრთხოებაც ბევრად უფრო დაცული იქნება.

ჩვენ მოვლენების განვითარების მეორე ვარიანტსაც განვიხილავთ. ინგლისი და ამერიკა პირდაპირ დადებენ მათთვის სასურველ ქვეყნებთან სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულებებს. ევროპული ქვეყნები პირდაპირ აღმოჩნდებიან ალტერნატივასთან – ან ალიანსი, ან რუსეთი თავისი საბჭოური ამბიციებით. დიდმა ბრიტანეთმა ზოგიერთ ევროპულ ქვეყანას რალაც გარიგებები უკვე ჩაუშალა.

***– რა გარიგებებზე საუბრობთ?***

– ეს ნაბიჯი რომ არ გადაედგა ინგლისს, ევროპის ზოგიერთი ქვეყანა რუსეთთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა. ასე რომ, ბრიტანელებმა სწორი გადაწყვეტილება მიიღეს.

***– ჩვენი პოლიტიკოსები საკმაოდ მწვავედ შეხვდნენ დიდი ბრიტანელების გადაწყვეტილებას და ვითომ ასეთი უსაფუძვლოა მათი შეშფოთება?***

– პროდასავლელები ისტერიულ პანიკაში ჩაცვივდნენ, პრორუსულებს კი ისტერიულად გაუხარდათ. ან ერთს რა უხარია, ან მეორეს რა აშინებს, ვერ გავიგე. ეს არის დადებითი პროცესი. დიდი ბრიტანეთი ერთი წლის წინ რომ გასულიყო ევროკავშირიდან, ევროპაში ტერაქტები არ მოხდებოდა.

ჩვენნაირი პატარა ქვეყნებისთვის, რომლებსაც მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვთ, ასეთი პროცესები ძალიან მნიშვნელოვანია. მას ვერც ვგეგმავთ და ვერც ვმართავთ. ასეთი პროცესებიდან მაქსიმალური სარგებლობა უნდა მივიღოთ. თუ ჭკუით მოიქცევა პოლიტიკური სპექტრი, აუცილებლად ვნახავთ ამ საქმიდან სარგებელს.

***– რას იზამენ ევროპის სხვა ქვეყნები? საფრანგეთში უკვე მოითხოვეს ევროკავშირიდან გასვლის თემაზე რეფერენდუმის ჩატარება.***

– ეს მოსალოდნელიც იყო. ჩვენ ევროპაში ნაციონალისტური ჯვაროსნული მთავრობების მოსვლას ველოდებით. ევროპაში მომხდარი ტერაქტების შემდეგ რადიკალურ ისლამთან ბრძოლის სურვილი ყველას გაუჩნდება. ევროკავშირის კონვენცია კი ამის უფლებას, ფაქტობრივად, არ იძლევა.

# ნოდარ ნათაძე: „დღეს შეუძლებელია ჯანსაღი პროდასავლელი პატრიოტი ხალხის ხელისუფლებაში მოსვლა“

**გაერთიანებულ სამეფოში მოსახლეობის ნაწილი ახალი რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვს. გრძელდება ევროკავშირთან დაკავშირებით გამართული რეფერენდუმის შედეგის განხილვა. სახალხო ფრონტის ლიდერი ნოდარ ნათაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გამოთქვამს მოსაზრებას, რომ საქართველოსთვის სასარგებლო იქნება ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ხელშეკრულებითი ურთიერთობის გაფორმება.**

მარიამ მჭედლიშვილი

**ნოდარ ნათაძე:**

– დიდი ბრიტანეთისთვის ევროკავშირში წევრობა უფრო კომფორტული იქნებოდა, მაგრამ გამოკითხულთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ევროკავშირიდან გასვლას. ეს იმას ნიშნავს, რომ მოქალაქეებმა კომფორტზე წინ ისტორიული ასპექტი, თვითდამკვიდრების ფაქტორი დააყენეს. წინა პლანზე გამოვიდა ჰუმანური და ზოგადსაკაცობრიო იდეები. ევროკავშირიდან გამოსვლის მომხრეები გამოვიდნენ არა აღმოსავლელი ლტოლვილების, არამედ, ევროკავშირში დაწესებული შიდა მიგრაციის წინააღმდეგ. ეს, გარკვეულწილად, ჩვენთვისაც ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს.

***– რა გაქვთ მხედველობაში?***

– თუ უზარმაზარი ბრიტანეთისთვის გახდა მტკივნეული უკონტროლო მიგრაცია, მაშინ რა უნდა ქნას პატარა საქართველომ? წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ მიგვიღეს ევროკავშირში იმ დროს, როცა თურქეთი არაა ევროკავშირის წევრი. ვინ გააკონტროლებს თურქეთიდან ადამიანების მოზღვავებას? მიწის საკითხი ჩვენთვის უმტკივნეულესია. ქართველების აბსოლუტურ უმრავლესობას მიწის შესასყიდი თანხები არ გააჩნია. თუ მიწა თავისუფლად გაიყიდება, მას უცხოელები შეიძენენ. ევროკავშირის წევრობის შემთხვევაში რეგულაციებს ვერ შემოვიღებთ.

***– მაგრამ ევროკავშირთან თანამშრომლობა მაინც აუცილებელია?***

– რა თქმა უნდა. მიმაჩნია, რომ ამა თუ იმ დასავლურ სტრუქტურასთან ჩვენ ხელშეკრულებები უნდა დავდოთ, მაგალითად, ნატოსთან. თუ წევრობა არ გამოვა, ამ ორგანიზაციასთან უნდა დავდოთ თავდაცვითი ხელშეკრულება. ორმხრივი ხელშეკრულებებია გასაფორმებელი ნატოს წევრ ძირითად სახელმწიფოებთანაც. ევროკავშირთანაც სასურველი იქნებოდა ასეთი დოკუმენტის გაფორმება. ამის პრაქტიკა უნდა დაინერგოს.

***– რა შეიცვლება დიდ ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმით?***

– ამით გაძლიერდება ამერიკა-ბრიტანეთის გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური მდგომარეობა. თუ გავიხსენებთ მეორე მსოფლიო ომს, მასში აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მოკავშირეობამ გადამწყვეტი როლი შეასრულა გერმანიის დამარცხებაში. ახლა ეს მოკავშირეობა კიდევ უფრო გაძლიერდება.

***– ანუ თქვენ არ იზიარებთ განცხადებებს იმის შესახებ, რომ ამით რუსეთი გაძლიერდება?***

– დიახ, არ ვიზიარებ. რუსეთი ვერ გაძლიერდება. აშშ და ბრიტანეთი ყოველთვის უფრო რადიკალურები იყვნენ რუსეთის მიმართ, ვიდრე ევროპა.

***– საფრანგეთის ეროვნული ფრონტის ლიდერი მარინ ლე პენი აცხადებს, რომ მსგავსი რეფერენდუმები ევროპის სხვა სახელმწიფოებშიც უნდა ჩატარდეს.***



– მარინ ლე პენი საფრანგეთში არც ყველაზე ჭკვიანია და არც გავლენიანი. ის ხელისუფლებაში ვერ მოვა. საფრანგეთი კი ამაზე არ წავა. გერმანია ევროკავშირის პირველი პატრონია, საფრანგეთი – მეორე. ისინი ევროკავშირის წინააღმდეგ არ გამოვლენ.

***– საქართველოს მოსახლეობის განწყობებზე იმოქმედებს ეს ახალი გარემოებები?***

– არა, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს რუსულმა პროპაგანდამ გამოკვეთილი სახე მიიღო. გაისმის მოსაზრებები, რომ ურუსეთოდ ვერაფერს მივაღწევთ. ერთი პოლიტიკოსია, რომლის გვარს არ დავასახელებ.

**„სხვადასხვა ტიპის გაუნათლებელი ჯგუფები შეიძლება ერთმანეთს სასტიკად დაუპირისპირდნენ“**

ეს კაცი მოსახლეობას ხვდება და ერთ საკითხზე ხელმოწერებს აგროვებს. ის ამას წინათ მეუბნებოდა, ხალხის დაახლოებით 60% ამერიკას აგინებსო. მას რომ ჰკითხო, ამ ადამიანებს რუსეთი უყვართ. სინამდვილეში, ეს ასე არ არის.

***– რა ხდება სინამდვილეში?***

– ამ ხალხს რუსეთი არ უყვარს. ეს ადამიანები დაბოღმილები არიან. მათმა უმრავლესობამ ინგლისური არ იცის. ეს ის ტლუ ნაწილია, რომელიც გადარჩენას რუსეთში ხედავს. მოსახლეობის კიდევ ერთი ნაწილი მაფიქრებს. ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც ინგლისურისა და კომპიუტერის გარდა არაფერი იციან. მათ შორის ბევრია სააკაშვილის მომხრე.

ორივე ჯგუფი გაუნათლებელია და საქართველოს არცერთი არ გამოადგება. ის მაწუხებს, რომ ეს გაუნათლებელი ჯგუფები ერთმანეთს შეიძლება დაერიონ. ქვეყანას უნდა უშველონ პროდასავლელებმა, რომლებიც განათლებულნი არიან და დასავლეთთან კამათიც შეუძლიათ. საკამათო თემა დასავლეთთან სულ თითო-ოროლა შეიძლება გვქონდეს. საუბედუროდ, დღეს შეუძლებელია ჯანსაღი პროდასავლელი პატრიოტი ხალხის ხელისუფლებაში მოსვლა.

***– ანუ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება?***

– უმრავლესობით – ვერა, მაგრამ ასეთი ადამიანების ჯგუფი აუცილებლად მოხვდება პარლამენტში და თავის სიტყვასაც იტყვის.

***– ასეთი ბლოკი შეიქმნა?***

– ასეთი გაერთიანება, ეროვნული ბლოკი, მალე იქნება. ახლა ჩვენ ყველა უნდა ვეცადოთ, რომ დაპირისპირება არ მოხდეს. ის გაუნათლებელი დაჯგუფებები, რომლებზეც ვისაუბრე, შეიძლება ერთმანეთს დაერიონ და 90-იან წლებზე უარესი ამბები მოხდეს.

***– წინასაარჩევნოდ?***

– წინასაარჩევნო პერიოდი ხელსაყრელია ასეთი სისხლიანი ამბებისთვის. ეს არ უნდა დავუშვათ. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ცნობიერება და კულტურა ეკონომიკაზე მაღლა დგას. ბავშვები არ უნდა იზრდებოდნენ ისეთ გარემოში, სადაც მშობლიურ ენაზე წარწერები არაა, სადაც ყველა წარწერა ან ინგლისურ ენაზეა, ან ქართული შრიფტით ინგლისური სიტყვები წერია. ეს მოზარდი თაობისთვის გაურკვეველი გარემოა. ამასაც მიხედვა სჭირდება.

# ბიძინა გუჯაბიძე: „ოცნებასთან თანამშრომლობა გვინდა“

გულიკო ბალაძე

**კონსერვატიული პარტია „ქართულ ოცნება – დემოკრატიულ საქართველოსთან“ თანამშრომლობის სურვილს გამოთქვამს, თუმცა კონსერვატორებისთვის „ოცნების“ პოზიცია უცნობია.**

– ნამდვილად არ ვიცი, „ოცნება“ ჩვენთან რა სახის საპარლამენტო ურთიერთობაზე ფიქრობს. ჩვენ მოლოდინის რეჟიმში ვართ, გვინდა, მთელი დატვირთვით ვითანამშრომლოთ, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ კონსერვატორების ერთ-ერთმა ლიდერმა ბიძინა გუჯაბიძემ.



***– კონსერვატორები არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებთ მონაწილეობას?***

– პირდაპირ პასუხს ვერ გაგცემთ. ვნახოთ, როგორი იქნება კონფიგურაცია და იმის მიხედვით გადავწყვეტთ, დამოუკიდებლად ვიქნებით თუ როგორ.

***– კახი კალაძემ განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ მომავალი საპარლამენტო სიის შემადგენლობა დადგენილია. როგორც მაჟორიტარების კანდიდატები, ასევე პროპორციული სიის შემადგენლობა შეჯერებულია. საბოლოოდ გაიყარა თქვენი გზები?***

– პარტნიორებად მოვიაზრებით. იმედი მაქვს, ისინიც ასეთი მიდგომით უდგებიან ამ საქმეს. არ ვიცი, ამჟამად რა სიებზეა საუბარი და რა შემადგენლობაა სიებში შეყვანილი. კახი კალაძემ იცის ამის თაობაზე, მე არ ვიცი.

***– თქვენი პარტია რა ფორმის თანამშრომლობაზე ფიქრობს – „ქართული ოცნების“ სიაში გინდათ ჩაგსვან?***

– ეს გარკვეული არ არის. ჩვენ გვინდა, ვითანამშრომლოთ „ოცნებასთან“.

***– რა სახისა და რა დონის თანამშრომლობაზეა საუბარი?***

– ნამდვილად არ ვიცი, „ოცნება“ ჩვენთან რა სახის საპარლამენტო ურთიერთობაზე ფიქრობს.

***– გინდათ არჩევნების დროს „ოცნებამ“ თქვენი კანდიდატურები გაითვალისწინოს და მხარი დაუჭიროს?***

– არ ვიცი. ზოგადად გადაწყვეტილია, რომ ვითანამშრომლებთ.

***– „ოცნებამ“ თქვენთან თანამშრომლობის სურვილი გამოხატა?***

– თავიდან კი, მაგრამ შემდგომში... კონსულტაციები გვაქვს. გამოკვეთილი ჯერ არაფერია.

# რა მოხდებოდა, საქართველო და უკრაინა ბუქარესტის სამიტზე ნატოს წევრებად რომ მიეღოთ?

NEWEUROPE ONLINE

## რა პროგნოზს აკეთებს პოლონეთის თავდაცვის მინისტრი

**ბელგიური გამოცემა „New Europe“ აქვეყნებს ინტერვიუს პოლონეთის თავდაცვის მინისტრ ანტონ მაცარევიჩთან, სადაც მინისტრი საქართველოს შესახებაც საუბრობს.**

**საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ფრაგმენტს ინტერვიუდან:**

ვარშავაში, პოლონეთის დედაქალაქში, სულ მალე, 8-9 ივლისს, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი სახელმწიფოების მეთაურთა სამიტი უნდა ჩატარდეს. ამ ფონზე აღმოსავლეთის ფლანგზე სიტუაცია, როგორც არასდროს, ისეთი „ცხელია“: ნატოს იქ ოთხი ახალი ბრიგადის განლაგება სურს, შავ ზღვაზე კი, რუმინეთის ინიციატივით, შესაძლოა ერთობლივი ნატოს ფლოტი შეიქმნას, რუსეთის ამბიციების საწინააღმდეგოდ. მაშინ როცა ევროპის მზერა ვარშავისკენაა მიპყრობილი, პოლონეთის ეროვნული თავდაცვის მინისტრი ანტონ მაცარევიჩი ბრიუსელში იმყოფება.

„ნიუ ეუროპას“ რედაქციამ ისარგებლა შემთხვევით და მინისტრს ინტერვიუ ჩამოართვა“, – წერს გამოცემის მთავარი რედაქტორი თეოდოროს ბანაკისი და პოლონეთის სამხედრო უწყების მეთაურს საერთაშორისო და რეგიონული უსაფრთხოების საკითხებზე, მათ შორის ბალტიისა და შავ ზღვებს შორის არსებულ სივრცეზე ესაუბრება. ერთ-ერთი შეკითხვა საქართველოს ნატოში შესაძლო გაწევრიანებას ეხება:

***– ბატონო მინისტრო, როგორია თქვენი თვალსაზრისი – აიღებს თუ არა ვალდებულებას ნატოს ვარშავის სამიტი საქართველოსა და უკრაინის მიმართ? როგორია ნატოს მზადყოფნის დონე მათი უსაფრთხოების დაცვაში და როგორია პოლონეთის დამოკიდებულება შავი ზღვის მიმართ – ზღვებშორისი სივრცის გეგმების გათვალისწინებით?***

– 2008 წელს ნატოს ბუქარესტის სამიტზე პოლონეთის მაშინდელი პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკიმ ნატოს ქვეყნების ლიდერები დაარწმუნა იმაში, რომ ალიანსმა კარი უნდა გაუღოს საქართველოსა და უკრაინას. პრეზიდენტმა მოახერხა და ნატოს ლიდერები საქართველოსა და უკრაინის პირდაპირ გაწევრიანებაში დაითანხმა. ეს ყველაფერი შაბათ საღამოს მოხდა. სამწუხაროდ, კვირა დილით ვიღაცამ ნატოს ლიდერების გადაბირება



შეძლო და მათ თავიანთი აზრი შეიცვალეს.

საქართველო და უკრაინა მაშინ რომ ნატოს წევრები გამხდარიყვნენ, დღეს რუსეთს ყირიმი დაკავებული არ ექნებოდა. მოსკოვი ვერ გააკონტროლებდა დონბასს და რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ვერ გაბედავდა იმის თქმას, ჩვენ ახლა რაკეტები, სირიის ნაცვლად, ვარშავაზე გვაქვს დამიზნებულიო.

როცა კი საქართველოსა და უკრაინის დახმარებაზე ვფიქრობ, მე ყოველთვის ვიხსენებ ბუქარესტში დაშვებულ შეცდომას და ვცდილობ, როგორმე შევუმსუბუქო მათ რუსული აგრესიით გამოწვეული სიძნელეები. საქართველოსა და უკრაინის მხარდაჭერის მიზნით, ნატოს სამიტზე ორივეს მიმართ გარკვეული გადაწყვეტილებები იქნება მიღებული. რა თქმა უნდა, დეტალებში მათ შორის განსხვავება იქნება, რადგან თითოეულ ქვეყანას თავისი სპეციფიკა აქვს.

**ნიუსპრესი**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# რა მოხდა ლანჩხუთში

## მამა გაბრიელი: „პოლიციასთან ხელჩართული ბრძოლა არ ყოფილა“

გუშინ, 26 ივნისს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანის ეკლესიის წინამძღვარმა, მამა გაბრიელმა (კახელიშვილი) სკანდალური განცხადება გააკეთა.

– მოვდიოდი ქობულეთიდან აცანის მიმართულებით, ლანჩხუთში გამაჩერა საპატრულო ეკიპაჟმა, ვუთხარი, რომ ორი ჭიქა არაყი მქონდა მიღებული და ბოდიში მოვუხადე ამის გამო. ერთ-ერთმა თანამშრომელმა მითხრა, მანქანა გადააყენეო, მეც მივაყენე „ქართული ოცნების“ ლანჩხუთის ოფისთან, იქვე,

ამ დროს თავს დამესხა რამდენიმე საპატრულო ეკიპაჟი და ათამდე პოლიციელი, დამადეს ხელბორკილები, გადამიყვანეს მათ მანქანაში და თითქმის მთელი საათი უმოწყალოდ მცემდნენ, ვერ ვლაპარაკობ, პირიდან სისხლი მომდის, ყველა მცემდა, აი ესენი, ახლა რომ თითქოს მოწიწებით მექცევიან, – უთხრა მამა გაბრიელმა რუსთავი 2-ს მაშინ, როცა პოლიციელებს ის, ხელბორკილდადებული, ოზურგეთის საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში შეჰყავდათ.

ადგილზე მოგვიანებით მოვიდა რამდენიმე სასულიერო პირი, მანამდე კი – 6 საპატრულო ეკიპაჟი.

სასულიერო პირებმა ჟურნალისტებთან განცხადებების გაკეთებისაგან თავი შეიკავეს.

ერთ-ერთმა სასულიერო პირმა კონფიდენციალურად „გურიის მოამბეს“ აცნობა, რომ პოლიცია აიძულებს თავად სასულიერო პირს აღიარებას, თითქოს მან დაზიანებები თვითნებურად მიიყენა და ამ ვერსიის გასამყარებლად გამოძიებისთვის რამდენიმე ცრუ მოწმეც უკვე ჰყავთ.

◆ ◆ ◆

მოგვიანებით შემოქმედის ეპარქიამ განცხადება გაავრცელა.

– მამა გაბრიელსა და საპატრულო პოლიციას შორის მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ გამოქვეყნებულმა ინფორმაციამ გამოიწვია მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი და გახდა საჯარო განხილვის ობიექტი. გამომდინარე აქედან, თავს ვალდებულად მივიჩნევთ, გავაკეთოთ განმარტება, რომელიც ნათელს მოჰფენს შექმნილ ვითარებას და პასუხს გასცემს ამ შემთხვევასთან დაკავშირებით გაჩენილ კითხვებს, – ნათქვამია შემოქმედის ეპარქიის განცხადებაში.





**შემოქმედის ეპარქია: „მანქანაში ჩაჯდომის დროს მამაოს შუბლის არე დაუზიანდა ღია მანქანის კარზე მირტყმის შედეგად, რამაც გამოიწვია სისხლდენა“**

განცხადებაში წერია, რომ მამა გაბრიელი მართლაც გადაადგილდებოდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნასვამ მდგომარეობაში, მაგრამ ეს არ იყო ალკოჰოლური თრობა, უბრალოდ, მიღებული ალკოჰოლის ოდენობა აღემატებოდა კანონთ გათვალისწინებულ ნორმებს.

– გადაადგილების დროს იგი გააჩერა საპატრულო ეკიპაჟმა და მოსთხოვა ალკოჰოლური თრობის ტესტის გავლა. მამაომ განუმარტა მათ, რომ მას ჰქონდა მიღებული სასმელი. საპატრულო პოლიციის მხრიდან მოთხოვნილ იქნა ავტომობილის ჩამორთმევა, რაზეც მამაომ უარი განუცხადა იმ მოტივით, რომ არ არსებობდა ამის სამართლებრივი საფუძველი, რადგან მისი თრობის დონე არ უშლიდა ხელს ავტომობილის მართვაში და არ უქმნიდა საფრთხეს ავტოსაგზაო მოძრაობაში მონაწილე პირებს, – აღნიშნულია განცხადებაში.

მამა გაბრიელის მიერ მიღებულ დაზიანებასთან დაკავშირებით განცხადების ავტორები ამბობენ, რომ პატრულის მხრიდან ადგილი არ ჰქონია ფიზიკურ შეხებას და, მით უმეტეს, ცემის ფაქტს.

– უბრალოდ, გადაყვანის დროს მოხდა მექანიკური დაზიანება. კერძოდ, მანქანაში ჩაჯდომის დროს შუბლის არე დაუზიანდა ღია მანქანის კარზე მირტყმის შედეგად, რამაც გამოიწვია სისხლდენა, – ნათქვამია განცხადებაში.

◆ ◆ ◆

გუშინვე მამა გაბრიელმა კიდევ ერთი განცხადება გააკეთა.

როგორც მამა გაბრიელმა ინტერპრესნიუსს განუცხადა, მან თავდაპირველი კომენტარი, რომელშიც პოლიციას ფიზიკურ ანგარიშსწორებაში ადანაშაულებდა, ცხელ გულზე, აფექტურ მდგომარეობაში გააკეთა.

– ცუდად გამომივიდა. სინამდვილეში არ ყოფილა არანაირი ფიზიკური დაპირისპირება და რაიმე ხელჩართული ბრძოლა. უბრალოდ, მანქანაში ჩასმის დროს ხელები შებოჭილი მქონდა და სისწრაფისგან მოხდა ისე, რომ მივარტყი თავი, – განაცხადა აცანის ეკლესიის წინამძღვარმა.

არქიმანდრიტმა გაბრიელმა საზოგადოებას ბოდიში მოუხადა.

ინფორმაცია ამის შესახებ შემოქმედის ეპარქიის პრესსამსახურმა სოციალურ ქსელში გაავრცელა.

– არქიმანდრიტი გაბრიელი თავს ძალიან უხერხულად გრძნობს და ბოდიშს იხდის საზოგადოების წინაშე მომხდარი ინციდენტის გამო, ასევე თხოვნით მიმართავს საზოგადოებას, ნუ მოძებნიან ამ სიტუაციაში მტყუან-მართალს, რადგან აღნიშნული მხოლოდ კონფლიქტის ესკალაციას გამოიწვევს, რაც, თავის მხრივ, ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მრწამსსა და მორალს, – ნათქვამია განცხადებაში.

◆ ◆ ◆

შინაგან საქმეთა სამინისტრომ უარყო ინფორმაცია პოლიციელების მიერ მამა გაბრიელ კახელიშვილის ცემის შესახებ.

შსს-ს თქმით, პატრულის თანამშრომლები მოქმედებდნენ კანონის ფარგლებში, ხოლო მამა გაბრიელ კახელიშვილმა თვითდაზიანებები მიიყენა.

– პოლიციის თანამშრომლებმა 26 ივნისს, დაახლოებით დილის 5 საათზე, ქალაქ ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩაზე, გააჩერეს ავტომობილი, რომელსაც არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა გაბრიელ კახელიშვილი.

პატრულის თანამშრომლებმა მას სახლში გადაყვანა შესთავაზეს, რასაც სასულიერო პირის მხრიდან აგრესია და სიტყვიერი შეურაცხყოფა მოჰყვა. ამის შემდეგ, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის მუხლით, სასულიერო პირი გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, გადაყვანისას კი მან პოლიციის მანქანაში თვითდაზიანებები მიიყენა. არსებობს ამ ყველაფრის ამსახველი ვიდეომასალაც, – აცხადებენ შსს-ში.

როგორც უწყებაში განმარტავენ, სასულიერო პირი დააკავეს პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის მუხლით. ამჟამად მიმდინარეობს საქმის წარმოება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით.

ინციდენტის შემდეგ მამა გაბრიელს შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწია.

– ამჟამად სასულიერო პირი ხელწერილის საფუძველზეა გათავისუფლებული და მის მიმართ სამართლებრივი პროცედურები გრძელდება.

არსებობს მომხდარი ფაქტის სრული ვიდეოჩანაწერი, რომელიც საპატრულო პოლიციის სამხრე ვიდეოკამერითაა გადაღებული. აღნიშნულ ვიდეომასალას შსს საქართველოს საპატრიარქოშიც აგზავნის. ამ ეტაპზე ვიდეომასალის გამოქვეყნებისგან თავს ვიკავებთ, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

# კახა კალაძე: „ქართული ოცნების“ საარჩევნო სია მზად არის“

შორენა მარსაგიშვილი





**პარტია „ქართულ ოცნებას“ საარჩევნო კამპანიის დაწყება, სხვებთან შედარებით, დააგვიანდა. გავრცელებული ინფორმაციით, პარტიაში ჯერ არც მაჟორიტარებზე და არც საარჩევნო სიაზე არ შეჯერებულან. სახელისუფლებო კულუარებში ამბობენ, რომ განსაკუთრებით ჭირს პირველი ათეულის შერჩევა. იქ მოხვედრა ყველას უნდა.**

პარტიის საარჩევნო შტაბს კახა კალაძე ხელმძღვანელობს. საარჩევნო სიის ფორმირებასაც ის ახდენს. დეპუტატები და მინისტრების ნაწილი სწორედ მისგან ცდილობენ იმის გარკვევას, იქნებიან თუ არა საარჩევნო სიაში. როგორც ისინი კერძო საუბრებში ამბობენ, კალაძე მათ სატელეფონო ზარებს არ პასუხობს, არც პირად საუბრებში უმხელს საიდუმლოს თანაპარტიელებს. შესაძლოა, მან თავადაც არ იცის, ვინ იქნება სიაში. როგორც ამბობენ, სიებთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას ბიძინა ივანიშვილი მიიღებს.

გუშინ, 26 ივნისს, „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ყრილობა გაიმართა, სადაც კალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მაჟორიტარების კანდიდატები და სიის შემადგენლობა შეჯერებულია, ინფორმაცია კი ცნობილი უახლოეს მომავალში გახდება:

– რაც შეეხება სიებს, მაჟორიტარების წარდგენას – ყველაფერს აქვს თავისი დრო. უახლოეს მომავალში ცნობილი იქნება ოფიციალურად საარჩევნო კამპანიის დაწყებაც, ცნობილი იქნება სიები, მაჟორიტარობის კანდიდატები რაიონებში. ეს ყველაფერი იქნება საარჩევნო კამპანიის ნაწილი და უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი საზოგადოებისთვის, – განაცხადა კალაძემ.

მის სახელს საკმაოდ ხმაურიანი საარჩევნო ინციდენტი უკავშირდება. კორცხელში მომხდარი დაპირისპირების გამო ნაციონალები დღემდე ითხოვენ კალაძის დასჯას. „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის უფროსი იმედოვნებს, რომ ის და მისი გუნდი ასეთ შარში აღარ გაეხვევიან.

ამის იმედს მას საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებები აძლევს.

– ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ისეთივე საშინელება არ გამეორდეს, რაც მოხდა კორცხელში. ეს იყო ძალიან მძიმე, ხელისუფლებისთვისაც, მმართველი პარტიისთვის და ყველანაირი პრევენცია იქნება განხორციელებული. ასევე იცით, რომ პრემიერის ინიციატივით მკაცრდება კანონი ჩხუბთან დაკავშირებით, რომ ეს ცხვირ-პირის მტვრევა და მუშტი-კრივი არ იყოს გამართული.

საარჩევნო პროცესი უნდა ჩატარდეს აბსოლუტურად მშვიდ გარემოში, სადაც ყველა პოლიტიკურ პარტიას შესაძლებლობა ექნება, თავისუფალ გარემოში აწარმოოს საარჩევნო კამპანია, – განაცხადა კალაძემ.

იმედიანად არის განწყობილი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილიც.

მისი აზრით, „ქართული ოცნება“ ყოველდღიურად იკრებს ძალას და ორიენტირებულია განვითარებაზე.

მან პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ აყალიბებს ახალ დღის წესრიგს, რომელსაც დღევანდელი რეალობა აყენებს.

მისივე თქმით, მმართველი გუნდი მზად არის, უპასუხოს ახალ ამოცანებსა და გამოწვევებს.

– ძალიან მოხარული ვარ, რომ ამდენ ანთებულ და შემართულ ახალგაზრდას ვხედავ. კიდევ უფრო სასიხარულოა, რომ ეს ახალგაზრდები ჩვენი პოლიტიკური გაერთიანების წევრები არიან. დარწმუნებული ვარ, თქვენ ყველანი კარგად აცნობიერებთ, რომ იმ პარტიის ახალგაზრდულ ფრთას წარმოადგენთ, რომელსაც დღეს ქვეყნის მართვის პასუხისმგებლობა აქვს ნაკისრი.

ეს არის ჩვენი პარტიისთვის, თითოეული წევრისთვის ძალიან საპატიო საქმე და, ამავე დროს, უდიდესი პასუხისმგებლობა. პარტია „ქართული ოცნება“ ყოველდღიურად იკრებს ძალას და ორიენტირებულია განვითარებასა და სიახლეზე. ჩვენ გვჭირდება ახალი იდეები, ახალი ხედვები, ინიციატივები და, რაც მთავარია, გვჭირდება ახალგაზრდული ენერგია, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

# გიორგი ვაშაძე საპარლამენტო არჩევნებისთვის კანდიდატთა სიის ფორმირებას პრაიმერის გზით მოახდენს



„სამოქალაქო პლატფორმა – ახალი საქართველო“ საპარლამენტო არჩევნებისთვის კანდიდატთა სიის ფორმირებას პრაიმერის გზით მოახდენს.

გიორგი ვაშაძემ კანდიდატთა ღია შერჩევის პრინციპები და წინასაარჩევნოდ დაგეგმილი სიახლეები საკუთარი მოძრაობის წევრებს და ჟურნალისტებს გააცნო.

– კიდევ ერთი სიახლე, რომელსაც ვთავაზობთ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს, ეს არის ღია შერჩევა კანდიდატების, როგორც სიის, ასევე მაჟორიტარების. მთავარი განმსაზღვრელი არის ის, რომ საქართველოს სჭირდება ახალი პოლიტიკური კლასი და ამისთვის საჭიროა, დაინერგოს კანდიდატების შერჩევის ახალი პრინციპები. ხალხმა უნდა შეარჩიოს, ვინ უნდა იყოს მისი წარმომადგენელი პარლამენტში, რომ შემდეგ ისინი ანგარიშვალდებული იყვნენ მათ მიმართ. ასევე ვთავაზობთ სხვა პოლიტიკურ პარტიებსაც, თუ სურვილი აქვთ, ერთობლივად ჩავატაროთ პრაიმერები. არანაირი კულუარული გადაწყვეტილებები. ადამიანმა, მოქალაქემ უნდა აირჩიოს თავისი წარმომადგენელი, – განუცხადა ჟურნალისტებს ვაშაძემ.

მისივე განმარტებით, ნებისმიერ მსურველს ექნება შესაძლებლობა, პრაიმერში მიიღოს მონაწილეობა იმ შემთხვევაში, თუკი მას ექნება ამომრჩეველთა ხელმოწერები იმ ოლქიდან, რომელსაც ის წარმოადგენს.

**მედიანიუსი**

# საქართველოში რომის პაპის ჩამოსვლა ძალაშია



– საქართველოში სექტემბრის ბოლოს რომის პაპის ფრანცისკეს ჩამოსვლასთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაცია არ შეცვლილა, – განუცხადეს მედიანიუსს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურში.

მიმდინარე წლის აპრილში გავრცელდა ინფორმაცია, რომ პონტიფიკოსი კავკასიური ტურნეს ფარგლებში საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს ეწვევა. საქართველოში პონტიფიკოსის ვიზიტი სექტემბრის ბოლოსთვის დაანონსდა.

არსებული ინფორმაციით, რომის პაპმა მოწვევა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისგან, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორისა და ხელისუფლებისგან მიიღო.

როგორც საპატრიარქოს პრესსამსახურში მედიანიუსს განუცხადეს, რომის პაპის ვიზიტი ჯერჯერობით იდეის დონეზეა, ზუსტი თარიღი მათთვის უცნობია და დასძინეს, რომ აპრილში ინფორმაცია საპატრიარქოს არ გაუვრცელებია.

25 ივნისს რომის პაპი სომხეთს სამდღიანი ვიზიტით ეწვია.

**მედიანიუსი**

# რუსეთში ქართველების მიმართ ნეგატიურმა დამოკიდებულებამ მნიშვნელოვნად იკლო

რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ინსტიტუტმა „ლევადა-ცენტრმა“ გამოაქვეყნა გამოკვლევა საქართველოსა და უკრაინისადმი რუსეთის მოქალაქეების დამოკიდებულების თაობაზე. დოკუმენტის მიხედვით, რუსები უკრაინას ნადეჟდა სავჩენკოს პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ შედარებით უფრო კარგად უყურებენ, ხოლო საქართველოსთან მიმართებით რუსების ნეგატიურმა დამოკიდებულებამ ყველაზე დაბალ მაჩვენებლამდე დაიკლო, 2005 წლიდან.

კვლევის ავტორმა, „ლევადა-ცენტრის“ სოციოლოგმა სტეპან გონჩაროვმა „სობესედნიკის“ კორესპონდენტთან საუბრისას უკრაინასა და საქართველოსთან რუსების დამოკიდებულების გაუმჯობესების მიზეზებზე ისაუბრა.

***— რატომ იკლო რუსების მხრიდან საქართველოსადმი ნეგატიურმა განწყობამ?***

— ქართველებს და რუსებს ერთმანეთისადმი ყველაზე ცუდი განწყობა 2008 წელს ჰქონდათ. გაუმჯობესების მიზეზი ისაა, რომ ორივე მხარე კონფლიქტს თანდათან ივიწყებს. გარდა ამისა, დადებითი როლი შეასრულა იმ ფაქტმაც, რომ შეიცვალა საქართველოს პრეზიდენტი: მიხეილ სააკაშვილი რუსების უმეტესობას ძალიან აღიზიანებდა. საერთოდ, ამ პიროვნების (არაადეკვატურ მოქმედებაზე) იმდენი რამ იწერებოდა მასმედიაში, რომ მის მიმართ სხვაგვარი დამოკიდებულება არც იქნებოდა – არათუ დადებითი, ნეიტრალურიც კი. მიხეილ სააკაშვილისადმი ირონიული, დამცინავი განწყობა იყო. საქართველოს დღევანდელ ლიდერს კი ბევრი რუსი არც იცნობს, რადგან რუსეთ-საქართველოს თემა მასმედიაში ძველებურად აქტუალური აღარაა, შედარებით ნაკლები იწერება.

საერთოდ კი, რუსების საბაზო ურთიერთობა დღეს ყველა ქვეყანასთან მეტ-ნაკლებად ნეიტრალურია, ზოგჯერ კი კეთილგანწყობილიც. ასე ხდება ხოლმე, როცა კონფლიქტის მწვავე ფაზა გადის – ურთიერთობა თანაბრდება.



საქართველოს შემთხვევაში ამას ემატება გარკვეული ერთობლივი ისტორიული წარსული, საერთო პოზიტიური მოგონებები, უპირველესად უფროსი თაობისაგან, რომელმაც (რუსებისა და ქართველების თანაცხოვრებაზე) ბევრი რამ იცის და ახსოვს. არის ინტერესი საქართველოს მიმართ რუსი ახალგაზრდობის მხრიდანაც, თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით ქართველ ახალგაზრდებზე.

რუსეთი საქართველოსთვის დიდ და მნიშვნელოვან მეზობლად ითვლება როგორც ეკონომიკის თვალსაზრისით, ასევე ოჯახური კავშირების მხრივაც: თავის დროზე რუსეთისაკენ ბევრი ქართველი წამოვიდა, ისინი აქ დაოჯახდნენ, ინარჩუნებენ სამშობლოსთანაც კავშირებს და ეს ყველაფერი პოზიტიურ გავლენას ახდენს ქართველების დამოკიდებულებაზე რუსების მიმართ. ასევე პოზიტიური ფაქტორია რუსეთში ჩამოსვლა დასაქმების მიზნით. დავუბრუნდები ისევ რუსი ახალგაზრდების განწყობას: ისინი საქართველოს არ განიხილავენ ისეთ ქვეყნად, სადაც მათ ცხოვრება, სწავლა ან მუშაობა სურთ, თუმცა აშკარაა, რომ ამ ქვეყნისადმი დამოკიდებულება ნეიტრალურიდან პოზიტიურობისაკენ იხრება.

***— როგორ გგონიათ, რუსეთის ხელისუფლებას შეუძლია თუ არა გამოიყენოს მასმედია ან სოციოლოგიური სამსახურები რომელიმე ქვეყანასთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით და ამ მეთოდით იმ ქვეყნის მოსახლეობაზე რაიმე გავლენა მოახდინოს?***

— ჩემი აზრით, ეს სავსებით შესაძლებელია, თუ ამაში რაიმე აზრი იქნება ჩადებული. თუ (რუსეთის ხელისუფლება) დაინახავს, რომ საქართველოსთან (ან უკრაინასთან) ეკონომიკური ურთიერთობის გაუმჯობესება აუცილებელია, მაშინ მოსკოვი შეეცდება, რუსულ მასმედიაში ამ ქვეყნების სახე პოზიტიურად წარმოჩნდეს. თუმცა, როგორც ჩანს, დღეს ამგვარი ამოცანა ხელისუფლების წინაშე არ დგას, ყოველ შემთხვევაში, ძალიან მნიშვნელოვანი არ არის. აშკარაა, რომ მოსკოვისათვის უმჯობესია მიმდინარე პოლიტიკური სიტუაციის შენარჩუნება, ამიტომაც ვერ ვხედავთ ამ ქვეყნებთან ურთიერთობის გაუმჯობესების ვერანაირ სახელმწიფო პროგრამას.

ამავე დროს, მიმაჩნია, რომ პერსპექტივაში საქართველოსა და რუსეთს შორის, ასევე რუსეთსა და უკრაინას შორის ურთიერთობები მაინც დარეგულირდება. მოსახლეობის განწყობა მნიშვნელოვანი ფაქტორია. პრობლემები არის, მაგრამ, იმედი უნდა გვქონდეს, რომ სიტუაცია გაუმჯობესდება.

**ნიუსპრესი**

# არჩევნებზე ძალადობა დასჯადი იქნება

პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა სისხლის სამართლისა და საარჩევნო კოდექსებში შესატანი ცვლილებები, რომლებიც სესიაზე იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილე ალექსანდრე ბარამიძემ წარადგინა. ცვლილებების მიზანი წინასაარჩევნო კამპანიისა და არჩევნების მიმდინარეობისას ძალადობის პრევენციაა.



იუსტიციის სამინისტროს ცნობით, ცვლილებების თანახმად, ძალადობა და ძალადობის მუქარა კენჭისყრის შენობაში, წინასაარჩევნო აგიტაციის ან კამპანიის ღონისძიების დროს ან ადგილას, ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ხდება.

სისხლის სამართლის კოდექსს ემატება სრულიად ახალი - 1621-ე მუხლი, რომლის თანახმად, კენჭისყრის შენობაში, კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიებების დროს ძალადობა, რომელსაც არ მოჰყოლია ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, დაისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ვადით. ძალადობრივი ქმედება, რომელსაც მოჰყვა პირის ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, დაისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 3 წლამდე ვადით. თუკი იგივე ქმედება იქნება ჩადენილი ჯგუფურად, სასჯელის ზომა იქნება 2-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა.

ცვლილება შედის საარჩევნო კოდექსშიც, რომლის თანახმად, კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, მაგრამ არა შენობაში, პოლიციას შეუძლია, მივიდეს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გამოძახების გარეშეც.

– თუკი ადგილი აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას და თუ ეს აუცილებელია, გამონაკლის შემთხვევებში, პოლიციას შეუძლია, კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, და არა საკუთრივ კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გამოძახების გარეშეც იმყოფებოდეს. პოლიციის კანონიდან გამომდინარე, პოლიციას, ზოგადად, აქვს ვალდებულება, აღკვეთოს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საარჩევნო კოდექსი, რომელიც ორგანული კანონია და რომელიც იერარქიით აღემატება, მათ შორის, პოლიციის კანონს, პოლიციის გამოცხადებას უბანზე ან, თუნდაც, მიმდებარე ტერიტორიაზე, არეგულირებდა მხოლოდ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნით. ანუ თუ არ იქნებოდა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნა, პოლიცია ვერც კენჭისყრის შენობაში და ვერც მიმდებარე ტერიტორიაზე ვერ გამოცხადდებოდა – ეს იყო კანონმდებლობის რეალური ხარვეზი და სწორედ ამ ხარვეზის გამოსწორებას ისახავს მიზნად წარმოდგენილი პროექტი. ამ კანონის მიზანი არის ის, რომ არჩევნების დროს უზრუნველყოს თითოეული ჩვენგანისთვის ნორმალურ, მშვიდ ვითარებაში კენჭისყრის პროცედურების გავლა, – განაცხადა ალექსანდრე ბარამიძემ.

სამინისტრო აღნიშნავს, რომ მეორე მოსმენის რეჟიმში სესიაზე გაზიარებულ იქნა დეპუტატების მოსაზრება და კანონპროექტს დაემატა ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, აუცილებლობის აღმოფხვრის შემთხვევაში, პოლიციელები დატოვებენ კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიას.

წარმოდგენილი ცვლილებებით მკაცრდება სანქცია ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანებისთვისაც. ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება დაისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ექვს თვემდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

ცვლილებების მომზადების დავალება იუსტიციის მინისტრმა პრემიერ-მინისტრისაგან 23 მაისს მიიღო. დღეს მოქმედი კანონმდებლობით, სისხლისსამართლებრივი წესით ისჯება ისეთი ქმედებები, რომლებიც განზრახ უშლის ხელს ამომრჩევლის თავისუფალი ნების გამოვლენას; შემოთავაზებული ცვლილებებით კი, დასჯადი ხდება ნებისმიერი ძალადობრივი ქმედება, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მოძალადის მიზანი ამომრჩევლის ნების გამოხატვისათვის ხელის შეშლა.

– მთავრობის მიერ დამტკიცებული ცვლილებებით სახელმწიფო კიდევ ერთხელ ადასტურებს საკუთარ ნებას –- ყველა საჭირო ზომა მიიღოს, რათა მოქალაქეებმა შეძლონ თავიანთი საარჩევნო უფლებების მშვიდ და ცივილიზებულ გარემოში რეალიზაცია, – აცხადებენ იუსტიციის სამინისტროში.

**მედიანიუსი**

# სიღნაღში ჩეხი ტურისტი გააუპატიურეს



სიღნაღში ჩეხი ტურისტის გაუპატიურების ბრალდებით პოლიციამ ახალგაზრდა მამაკაცი დააკავა. მას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით ედება, რაც გულისხმობს სქესობრივ კავშირს ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით. ჩეხი ტურისტის თქმით, ის, ღამით ფიროსმანის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ საოჯახო სასტუმროში გააუპატიურეს, სადაც ღამის გასათევად დაბინავდა.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გამოარკვია, გოგონამ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ცხელ ხაზზე, 21 ივნისს, ღამით, 03:11 საათზე დარეკა და განაცხადა, რომ გააუპატიურეს. გამოძახების ადგილზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების და პოლიციის რაიონული განყოფილების წარმომადგენლები მივიდნენ. ექიმებმა გოგონა წნორში, „არქიმედეს“ კლინიკაში გადაიყვანეს. ეს ინფორმაცია კახეთის საინფორმაციო ცენტრს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრშიც დაუდასტურეს და წნორის კლინიკაშიც. სამედიცინო ცენტრის დირექტორის ოთარ რუაძის განცხადებით, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო და პოლიციელებმა ის ექსპერტიზის ჩასატარებლად გადაიყვანეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ძალადობაში ბრალდებული მამაკაცი დაკავებულია. საქმეს სიღნაღის პოლიცია იძიებს. დანაშაული სასჯელის სახით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან რვა წლამდე.

ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით, 2016 წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით სიღნაღში ტურისტების რაოდენობა 50%-ით არის გაზრდილი.

სიღნაღის სასტუმროებში ერთი სტანდარტული ნომრის ღირებულება 80 ლარიდან იწყება და კომფორტის მიხედვით, 400 დოლარს აღწევს. საოჯახო სასტუმროებში კი ღამის გათევა 40 ლარიდან 120 ლარამდე ღირს, რაშიც საუზმეც შედის.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# მიხეილ სააკაშვილი: „უკრაინა ევროკავშირში დიდი ბრიტანეთის ადგილს დაიკავებს“

ოდესის ადმინისტრაციული ოლქის ხელმძღვანელ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ბრიუსელი შესთავაზებს უკრაინას ევროკავშირში შესვლას დიდი ბრიტანეთის ნაცვლად, თუ უკრაინა ,,ნამდვილად საჭირო იქნება ევროპისთვის“.



როგორც სააკაშვილი სოციალურ ქსელში წერს, იმისათვის, რომ ევროკავშირმა არ ,,წაშალოს“ უკრაინა, კიევმა ნამდვილი რეფორმები უნდა გაატაროს.

– ჩვენ უნდა გავხდეთ ნამდვილად საჭიროები ევროპისთვის და მაშინ, ჩვენზე ვაჭრობას კი არ გამართავენ, არამედ გვთხოვენ, ევროკავშირში დიდი ბრიტანეთის ადგილი დავიკავოთ, – აცხადებს სააკაშვილი.

ოდესის ადმინისტრაციული ოლქის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ ,,ბრიტანეთის რეფერენდუმის შემდეგ ევროპა დასუსტების პერიოდში შედის.“.

– მზარავს იმაზე ფიქრი, თუ რა შეთანხმებებზე შეიძლება წავიდეს ზოგიერთი გერმანელი, ფრანგი და იტალიელი პოლიტიკოსი პუტინთან იმ პირობებში, როდესაც დიდი ბრიტანეთი ევროპული საქმეებიდან გავიდა. რუსეთისთვის ეკონომიკური სანქციების გახანგრძლივება პრეზიდენტ პოროშენკოს დიპლომატიური გამარჯვებაა, მაგრამ დღეს, ისე როგორც არასდროს, საჭიროა მობილიზება და რეფორმების გატარება. დღეს ნელი ტემპით სვლა სიკვდილის ტოლფასია, რადგან ხელიც არ აუკანკალდებათ, ისე ,,წაგვშლიან“. მეორე მხრივ, ნამდვილი რეფორმების გატარებით უკრაინა გახდება მაგნიტი დანარჩენი ევროპისთვის, – აცხადებს სააკაშვილი.

**მედიანიუსი**

**სიახლე!!! მშენებელთა და მეტალოპლასტმასის საამქროს მფლობელთა საყურადღებოდ!**

ლიცენზირებული ფირმა გთავაზობთ მეტალოპლასტმასის კარების ჩარჩოს ფუძის დაზიანებებისგან (მტვრევისგან) დამცავ მოთუთიებულ ლითონის გარსაცმს, რომელიც მარტივად მაგრდება ჩარჩოს ძირზე და იცავს მის პლასტმასის თხემს დ აბიჯებისას გარდაუვალი მსხვრევისგან.

1 ცალი (1-მეტრიანი) გარსაცმის ფასი – 12 ლარი, პარტიაში (50 ცალი და მეტი) – 10 ლარი.

**ტელ: 599-94-51-82**

**(იხ.ნიმუში გურამიშვილის 33, მ/პლასტმასის საამქრო).**

# ბრიტანელთა ნაწილი განმეორებითი რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვს

ბრიტანეთში ჩატარებულმა რეფერენდუმმა პირველი უარყოფითი შედეგები უკვე მოიტანა. საზოგადოება გახლეჩილია. ეს რეფერენდუმის შედეგებმაც აჩვენა. ევროკავშირიდან გასვლას მხარი 51,2%-მა დაუჭირა, დარჩენას – 49,8%-მა.

ევროკავშირიდან გასვლის მომხრეთა შორის უმრავლესობას 60 წელზე უფროსი მოქალაქენი შეადგენენ. ევროკავშირში დარჩენის მსურველთა შორის კი ახალგაზრდობა დომინირებს.




ეს კანონზომიერია, რადგან ევროკავშირში დარჩენა საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს, მთელ ევროპაში თავისუფლად იმოგზაურონ. ხნიერი ხალხი კი გაღიზიანებულია იმით, რომ პოლიკლინიკებში რიგებმა იმატა, რადგან ბრიტანეთში მკურნალობა პოლონეთიდან, ბალტიისპირეთიდან თუ აღმოსავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებიდან ჩამოსულებსაც სურდათ. შემდეგ ამას სირიელი ლტოლვილებიც დაემატნენ.

– არ მესმის, რატომ უნდა შევიქმნა დისკომფორტი ვიღაც გადამთიელების გამო?! ასეთი ევროკავშირი მე არ მჭირდება, – განუცხადა ერთ-ერთმა პენსიონერმა ბი-ბი-სის კორესპონდენტს.

ექსპერტები მეორე ფაქტორსაც გამოყოფენ. ხანდაზმულ მოქალაქეებს კარგად ახსოვთ ის დრო, როცა ბრიტანეთი იმპერია იყო და მსოფლიოში წამყვან როლს ასრულებდა. ახლა ევროკავშირში წამყვანნი გერმანელები და ფრანგები არიან. ინგლისელთა უფროსი თაობა ამას მტკივნეულად აღიქვამს.

გერმანელების ჭკუაზე რატომ უნდა ვიაროთ? – ეს არგუმენტი ევროსკეპტიკოსებისთვის გაცილებით მტკივნეულია, ვიდრე გადასახადები.

რეფერენდუმშიც ევროკავშირიდან გასვლის მომხრეებმა გაიმარჯვეს. შედეგად ფუნტი დაეცა. შოტლანდიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, მზად ვართ, რომ ბრიტანეთის შემადგენლობიდან გავიდეთ და სათანადო რეფერენდუმიც ჩავატაროთო. შოტლანდიის პარალელურად ნაციონალისტები ჩრდილოეთ ირლანდიაშიც გააქტიურდნენ. ისინი დიდი ბრიტანეთიდან გასვლასა და ირლანდიასთან შეერთებას მოითხოვენ.

ამას მთავრობის ნეგატიური რეაქცია მოჰყვა.

– ჩრდილოეთ ირლანდიის ბრიტანეთიდან გასვლა და ირლანდიასთან შეერთება დაუშვებელია, – განაცხადა პრემიერმა ქემერონმა.

ყოველივე ამან თავისი გავლენა იქონია. უკვე შეგროვდა 2 მილიონი ხელმოწერა, რათა განმეორებითი რეფერენდუმი ჩატარდეს საკითხზე, სურთ თუ არა ბრიტანელებს ევროკავშირიდან გასვლა.

ბერლინში გერმანიის, იტალიის, საფრანგეთის, ბელგიის, ლუქსემბურგისა და ჰოლანდიის წარმომადგენლები შეიკრიბნენ. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შტაინმაიერმა ინგლისელებს მოწოდებით მიმართა:

– თქვენი ხალხის ნებას პატივს ვცემთ, ამიტომ მოგიწოდებთ, ევროკავშირი რაც შეძლება სწრაფად დატოვოთ!

ანგელა მერკელმა შეკრებილთ მოუწოდა, რომ დიდ ბრიტანეთთან მოლაპარაკება მშვიდად, საქმიანად, ემოციების გარეშე აწარმოონ.

– ჩვენ ბრიტანელებთან ნორმალური, საქმიანი ურთიერთობები უნდა შევინარჩუნოთ, – თქვა მერკელმა.

თავად ბრიტანეთში კი ევროკავშირიდან გასვლის თაობაზე დისკუსიები არ წყდება. უკვე ცნობილი გახდა, რომ პრემიერი ქემერონი ოქტომბრამდე თავის პოსტს შეინარჩუნებს. მისი შემცვლელის ვინაობა სექტემბერში კონსერვატიული პარტიის კონფერენციაზე გადაწყდება.

## პუტინი: „რეფერენდუმის შედეგები რუსეთისთვის საზიანოა“

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გაოცება გამოთქვა იმ რუსი პოლიტიკოსების შეფასების გამო, რომლებიც ბრიტანული რეფერენდუმის შედეგებს მიესალმნენ.

– ადამიანურად ამ ხალხის მეს-



მის. ევროკავშირმა და, კერძოდ, ბრიტანეთმა დიდი ტკივილი მოგვაყენეს, მაგრამ ის, რაც მოხდა, რუსეთისათვის საზიანოა, – განაცხადა პუტინმა.

მან აღნიშნა, რომ ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლას უკვე პირველი შედეგები მოჰყვა. ნავთობზე ფასები დაეცა. ამან რუსეთის ეკონომიკას დამატებითი დარტყმა მიაყენა. უტოპიაა იმაზე ფიქრი, რომ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები უახლოეს დროში გაუქმდება.

– ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლა სათუოა და, თუკი ეს მაინც მოხდა, ამას წლები დასჭირდება. ჩვენ მიმართ დაწესებული სანქციებიც უახლოეს პერიოდში არ გაუქმდება, – თქვა პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტის აზრით, ბრიტანული რეფერენდუმით გამარჯვებულნი მხოლოდ ისინი დარჩნენ, ვინც პრეზიდენტ ობამასა და მისი ევროპელი თანამოაზრეების წინააღმდეგ არიან განწყობილნი, რუსეთს კი დამატებით სირთულეები შეექმნა.

## სოროსი: „ევროპას მძიმე დღეები მოელის“



ამერიკელი მილიარდერის ჯორჯ სოროსის აზრით, ბრიტანული რეფერენდუმი მძიმე მდგომარეობაში აყენებს როგორც თავად ბრიტანეთს, ასევე მთელ ევროპასაც.

– ევროპის ერთიანობა საფრთხეშია, – აცხადებს ამერიკელი მილიარდერი.

სოროსის აზრით, ევროკავშირი ძირეულ გარდაქმნებს საჭიროებს. საამისოდ კი ყველა იმ ძალის კონსოლიდაციაა აუცილებელი, რომლებსაც ევროპის ერთიანობისა და ევროპული ფასეულობებისა სჯერათ.

– ამ ძალებში მათაც ვგულისხმობ, ვინც ევროპისკენ მიისწრაფვის. მხედველობაში მყავს საქართველო, უკრაინა და მოლდოვა, – თქვა სოროსმა.



## ტერაქტი სომალიში

სომალის დედაქალქ მოგადიშოში მორიგი ტერაქტი მოხდა. უცნობმა პირებმა ქალაქის მთავარ ოტელთან აფეთქება მოაწყვეს.

შედეგად ოტელში მყოფი 15 ადამიანი დაიღუპა, 20 დაშავდა.

ტერაქტზე პასუხისმგებლობა ისლამურმა ორგანიზაცია „ალ-შაბიბმა“ აიღო.

## სირია: რუსული დაბომბვები გრძელდება



რუსულმა ავიაციამ განახორციელა დარტყმა სირიის ქალაქ ეზ-ზაურის მიდამოებზე. ამ ტერიტორიას ისლამური სახელმწიფო აკონტროლებს.

დაიღუპა 45 ადამიანი, მათ შორის მოხუცები, ქალები და ბავშვები.

პარალელურად სირიის დემოკრატიული არმია, სადაც გაერთიანდნენ როგორც არაბული, ისე ქურთული ფორმირებები, მიიწევს რაკასკენ, რომელიც ექსტრემისტებმა თავიანთ დედაქალაქად გამოაცხადეს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

კალეიდოსკოპი

## გერმანელი ნუდისტები ხელისუფლებას არ ემორჩილებიან



გერმანიაში ნუდისტური კლუბის წევრებმა ხელისუფლებისგან მიიღეს მითითება, რომელიც მათ ავალდებულებს, საცურაო კოსტიუმებით დაიფარონ სხეულის ინტიმური ნაწილები.

ეს იმით არის გამოწვეული, რომ ტბასთან, რომელიც ქალაქ დრეზდენიდან ჩრდილოეთით მდებარეობს, დაგეგმილია ბანაკის აგება ლტოლვილების მისაღებად.

აღსანიშნავია, რომ დედიშობილა ცურვის მოყვარულები, რომლებმაც ეს ადგილი უკვე 100 წელზე მეტია, თავიანთ საყვარელ ადგილად აქციეს, ხელისუფლების ინიციატივას აღშფოთებით შეხვდნენ.

– ჩვენ უარს ვაცხადებთ, ამ წესებს დავემორჩილოთ, – ხაზგასმით აღნიშნა ნუდისტების კლუბის წარმომადგენელმა პეტრა ჰოფმანმა.

ამავე დროს, გერმანულ მოცურავეთა საზოგადოებაში განაცხადეს, რომ ნუდისტებმა მითითება შეცდომით მიიღეს, იქ განმარტეს, რომ წესები, რომლებიც ადამიანებს საცურაო კოსტიუმების ტარებას ავალდებულებს, მხოლოდ საზოგადოებრივ აუზებზე ვრცელდება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ჩინელი გასახდომად თავზე 40-კილოგრამიან ქვას ატარებდა

ჩინეთის პროვინცია გირინში ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ყოველდღე თავზე 40-კილოგრამიანი ქვით ფეხით დასეირნობს გახდომის სურვილის მქონე მამაკაცი.



54 წლის ცუნ იანი ყოველ ჯერზე დაახლოებით სამ კილომეტრს გადის თავზე 40-კოლოგრამიანი ქვით. თავიდან ის თავზე 15-კილოგრამიან ქვას იდებდა, მაგრამ ახლა უკვე უფრო მეტი წონის ტვირთის ტარება შეუძლია. თავად მამაკაცის თქმით, მან ერთ წელში მაქსიმალური 30 კილოგრამი დაიკლო წონაში, ხოლო თუ რამდენი დაიკლო ოთხი წლის განმავლობაში, უცნობია.

ცუნმა ფიზიკური ვარჯიში მას შემდეგ დაიწყო, როდესაც რამდენიმე წლის წინ მისმა წონამ 115 კილოგრამს გადააჭარბა, ამ დროს კი მისი სიმაღლე 163 სანტიმეტრია.

– თავდაპირველად მსურდა, თავი სპორტში მეცადა, ვინაიდან დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს უფრო სასარგებლოა, ვიდრე გასახდომი წამლების მიღება, – განაცხადა მამაკაცმა.

ჩინელი გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრას აპირებს გახდომის საკუთარი უჩვეულო მეთოდის წყალობით.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

● ფირმა გთავაზობთ რემონტში მოქცეულ და დაზიანებულ მეტალოპლასტმასის ჩარჩოს ძირზე ლითონის გარსაცმის გადაკვრას, ჩარჩოს ბეტონიდან ამოუღებლად, მინიმალურ ფასად. ტელ: 599-94-51-82.

### იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

### მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

**მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.**
**კონსულტაცია უფასოა!**
**☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).**
**მისამართი: ალმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.**

# ევროპირველობის პლეი ოფი უსახურად დაიწყო

**შვეიცარია-პოლონეთი 1:1 (4:5პ)**

**სენტ-ეტიენი. ჟოფრუა-გიშარი**

0:1 ბლაშჩიკოვსკი (39), 1:1 შაქირი (82)

**პენალტები:** 1:0 ლიხტშტაინერი, 1:1 ლევანდოვსკი, 1:1 ჯაკა (ააცილა), 1:2 მილიკი, 2:2 შაქირი, 2:3 გლიკი, 3:3 შერი, 3:4 ბლაშჩიკოვსკი, 4:4 როდრიგესი, 4:5 კრიხოვიაკი


შვეიცარია-პოლონეთი 1:1 (4:5პ)

**შვეიცარია:** სომერი, ლიხტშტაინერი, შერი, ჯურუ, როდრიგესი, შაქირი, ჯაკა, ბეჰრამი (ფერნანდესი 77), ჯემაილი (ემბოლო 58), მეჰმედი (დერდიოკი 70), სეფეროვიჩი

**პოლონეთი:** ფაბიანსკი, პიშჩეკი, პაზდანი, გლიკი, ენჯეიჩიკი, ბლაშჩიკოვსკი, მონჩინსკი (იოდლოვეცი 101), კრიხოვიაკი, გროშიცკი (პეშკო 104) , ლევანდოვსკი, მილიკი

შვეიცარიელებს პენალტებში არ გაუმართლათ და ეს პირველი შემთხვევა არ არის – 2006 წელს ისევე წააგეს უკრაინასთან. ახლაც, 10 წლის შემდეგ, შვეიცარიელებს წასაგები მატჩი არ ჰქონდათ, მაგრამ გრანიტ ჯაკას უზუსტო პენალტმა მეოთხედფინალს მიღმა დატოვა გუნდი.

ანგარიში პოლონელებმა გახსნეს და მეტოქეს ინიციატივაც დაუთმეს. შვეიცარიელები მეთოდურად მიდიოდნენ გოლისკენ და ხერდან შაქირმა ულამაზესი დარტყმით გაათანაბრა კიდეც.

დამატებით დროში შვეიცარიელებს მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ კარგად მოთამაშე ლუკაშ ფაბიანსკის ვერაფერი მოუხერხეს. პენალტებში კი...

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **ხერდან შაქირი**

ალბათ, იშვიათი შემთხვევაა, როდესაც საუკეთესო წაგებული გუნდიდან ხდება. ახლაც შეგვეძლო, პოლონელთა მეკარე გამოგვერჩია, მაგრამ შაქირის თამაშის შემხედვარემ, უპირატესობა შვეიცარიელს მივანიჭეთ. გარდა იმისა, რომ არანორმალური სილამაზის გოლი გაიტანა, შაქირმა ყველაფერი გააკეთა რომ გუნდს მოეგო, მაგრამ თანაგუნდელებმა დაალალატეს. ხერდანი ერთადერთია შვეიცარიელთა ნაკრებიდან, რომელიც თავაწეული დატოვებს ევროპირველობას.

**ადამ ნავალკა:**

– შვეიცარიის ნაკრებს კარგი დაცვა და თავდასხმა ჰყავს. გასაკვირი არაა, რომ როდესაც აგებდნენ, ზეწოლას ახორციელებდნენ. ჩვენ დაცვაში ყოფნა მოგვიწია, რის წყალობით მეტოქეს მომენტები ექმნებოდა. თუმცა, მთავარია, რომ გაშვებული გოლის შემდეგ კვლავ თავდასხმაზე გადავერთეთ და მატჩის მსვლელობას კვლავ ვაკონტროლებდით. ეს ჩემი გუნდის პოტენციალზე მეტყველებს. ამ მატჩმა ბევრი ემოცია გამოიწვია და ბიჭები სამუშაოს საუცხოოდ გაუმკლავდნენ. მომდევნო შეხვედრას საკუთარ ძალებში დარწმუნებულნი ველით. მისთვის ფსიქოლოგიურად მზად ვართ. ჩვენ რეზერვიც კი გვაქვს, რომელსაც უახლოეს ხანში გამოვათავისუფლებთ.

**ვლადიმირ პეტკოვიჩი:**

– გრანიტ ჯაკას და არა მხოლოდ მის გამო, ძალიან განვიცდი. შვეიცარია დამარცხდა და ამან ძალიან დამამწუხრა. ფეხბურთელები მაქსიმალურად დაიხარჯნენ და მოედანზე ყველაფერი აჩვენეს რაც შეეძლოთ. სამწუხაროდ, შეცდომები დავუშვით, რომლებიც ძვირად დაგვიჯდა. საბოლოო ჯამში, ყველაფერი პენალტებმა გადაწყვიტა. ეს ლატარიაა, სადაც ერთი აცილებული პენალტიც კი შესაძლოა გადამწყვეტი აღმოჩნდეს. ცოტა იღბალიც საჭიროა, რომელიც არ გვეყო. განვლილ 4 მატჩში ღირსეულად გამოვიყურებოდით. მეტს ვიმსახურებდით...

**უელსი-ჩრ.ირლანდია 1:0**

**პარიზი. პარკ დე პრენსი**

1:0 მაკაული (75სკ)

**უელსი:** ჰენესი, ჩესტერი, ეშლი ვილიამსი, დევისი, ჰანტერი, ალენი, რემზი, ლედლი (ჯონათან ვილიამსი 63), ტეილორი, ვოუქსი (რობსონ-კანუ 55), ბეილი

**ჩრ.ირლანდია:** მაკგოვერნი, ჰიუზი, ჯ.ევანსი, მაკაული (მაგენისი 84), კეტკარტი, საიმონ დევისი, კ.ევანსი, ნორვუდი (მაკგინი 79), უორდი (ვაშინგტონი 69), დალასი, ლაფერტი

ევრო 2016-ის მეორე მეოთხედფინალისტის ვინაობაც ცნობილია. უელსის ნაკრებმა ჩრდილოეთ ირლანდია მინიმალური ანგარიშით 1:0 დაამარცხა და შემდეგ ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ დამატებითი დრო უნდა დანიშნულიყო, მაგრამ გარეთ მაკაულმა ჩრდილოირლანდიელებს ყველაფერი წყალში ჩაუყარა.

მატჩი კი ისეთი გამოდგა, როგორიც მოსალოდნელი იყო – ორი ბრიტანული გუნდი, ინგლისელი მსაჯი, ნაკლები სახიფათო მომენტებითა და ბევრი ორთაბრძოლით.


უელსი-ჩრ.ირლანდია 1:0

და მაინც, ჩრდილოეთ ირლანდია შინ ამაყი ბრუნდება, უელსი კი აგრძელებს ისტორიის დაწერას.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **ჯეიმს ჩესტერი**

ვალიელთა ლიდერების, გარეთ ბეილისა და აარონ რემზის ჩრდილში მოქცევის შემდეგ ლიდერობა ჩესტერმა იტვირთა. გაანეიტრალა ჩრდილოირლანდიელთა ყველაზე სახიფათო შემტევი ლაფერტი. ართმევაზე თამაშის გარდა, იწყებდა თავისი გუნდის შეტევებს და, სხვა მცველებისგან განსხვავებით, გონივრულად ანაწილებდა ბურთს.

**კრის კოულმენი:**

– არცთუ კარგად ვითამაშეთ, რაც ჩრდილოეთ ირლანდიის დამსახურებაა. ისინი ოპონენტებს ცხოვრებას მაქსიმალურად ურთულებენ და ჩვენი ფეხბურთი არ გვათამაშეს. საშინელი გამარჯვება იყო, მაგრამ ახლა არ გვაღელვებს.

**მაიკლ ონილი:**

– მძიმე მატჩი იყო, მაგრამ მეტოქეს ვჯობდით. წაგებას არ ვიმსახურებდით. ახლა ტურნირი მთლიანად უნდა შევაფასოთ. ამ ჩემპიონატზე ჩვენი ბევრს არ სჯეროდა, მაგრამ მეოთხედფინალში რომ გავსულიყავით დაუმსახურებელი არ იქნებოდა. ფანტასტიკური თავგადასავალი გამოგვივიდა. ერთადერთი ის მამშვიდებს, რომ კრის კოულმენთან წავაგე. მას წარმატებას ვუსურვებ, უელსს კი შორს წასვლა შეუძლია.


ხორვატია-პორტუგალია 0:1 (დდ)

**ხორვატია-პორტუგალია 0:1 (დდ)**

**ლანსი. სტად ბოლერ-დელი**

0:1 კვარეჟმა (117)

**ხორვატია:** სუბაშიჩი, ვიდა, ჩორლუკა (კრამარიჩი 120), სრნა, სტრინიჩი, ბადელი, მოდრიჩი, პერიშიჩი, რაკიტიჩი (პიაცა 110), ბროზოვიჩი, მანძუკიჩი (კალინიჩი 88)

**პორტუგალია:** პატრისიო, პეპე, ფონტე, სოარეში, გერეირო, უ.კარვალიუ, ა.სილვა (დ.პერეირა 108), გომეში (სანჩესი 50), მარიო (კვარეჟმა 87), ნანი, რონალდუ

კიდევ ერთი მატჩი მიდიოდა პენალტების სერიისკენ, მაგრამ რიკარდო კვარეჟმამ შემდეგ ეტაპზე გამსვლელი გოლი იმ დროს გაიტანა, ხორვატებმა გონს მოსვლა ვერ მოასწრეს.

არადა, მთელი მატჩის განმავლობაში არცერთი გუნდი არ იყო გონზე. 90 წუთის განმავლობაში გუნდებს კარში არ დაურტყამთ. მხოლოდ ბოლოსკენ შექმნეს ხორვატებმა 2 მომენტი და სწორედ აქ დაისაჯნენ – პორტუგალიელთა სწრაფი კონტრშეტევა და ანტე ჩაჩიჩის ნაკრები შინ მიემგზავრება.

პორტუგალიის ნაკრები გახდა ერთადერთი გუნდი, რომელიც ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში ზედიზედ მეექვსედ გავიდა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **დომაგოი ვიდა**

კიდევ ერთი ფეხბურთელი უნდა გამოვარჩიოთ წაგებული გუნდიდან. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ რონალდუმ და ნანიმ ვერაფერი ხეირიანი ვერ შექმნეს ხორვატების კართან. გოლის მომენტშიც ვიდა უცოდველია.

**ფერნანდუ სანტუში:**

– ეს ტაქტიკური დაპირისპირება იყო. თამაშის კონტროლს შევეცადეთ, მაგრამ ხორვატებმა ამის უფლება არ მოგვცეს. შემდეგ ინიციატივის ხელში ჩაგდებას ისინი შეეცადნენ, თუმცა ეს არც ჩვენ გავაკეთებინეთ. საუცხოო გუნდი გვიპირისპირდებოდა და თავიდანვე ნათელი იყო, რომ იოლი მატჩი არ გველოდებოდა.

# პატარა ბორჯღალოსნებმა 20 წლამდე მსოფლიოს თასი ღირსეულად დაასრულეს

**საფრანგეთი – საქართველო 27:24**

საქართველოს 20 წლამდე მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი საფრანგეთთან მარცხით და მე-10 პოზიციით დაასრულა. ჩვენი ნაკრები მე-9 ადგილისთვის იბრძოდა, თუმცა



ფრანგ თანატოლებთან 24:27 დამარცხდა.

ფრანგები ფლობდნენ სათამაშო ინიციატივას, თუმცა, წინა მატჩებისგან განსხვავებით, ქართველებმა უფრო თავისუფლად ითამაშეს. ერთიც: მეტოქე შერკინებაში ამჯერად ვერ დავჯაბნეთ, მაგრამ უფრო მეტს ვუტევდით ბურთით.

ანგარიში მე-6 წუთზე გაიხსნა, როდესაც ფრანგებმა შემოგვიტიეს, რის შემდეგაც ნგანდებე ლელოში შევიდა, ბელაუმ კი გარდასახა. 24-ე წუთზე მსაჯმა შერკინებაში დაგვაჯარიმა და ბელაუმ 3 ქულა მოიპოვა. ტაიმის მიწურულს გელა აფრასიძემ ჯარიმა გაიტანა და შესვენებაზე ერთი ლელოს ნაკლებობით გავედით – 3:10.

მე-2 ტაიმის განახლებისთანავე ფრანგებმა კი აღარ გარისკეს და 49-ე წუთზე ჯარიმა კვლავ კარში დაარტყეს. ესეც ნაკრების პატივისცემაა, რადგან გაცილებით დაბალი დონის გუნდებთან ლელოზე ითამაშებდნენ.

57-ე წუთზე ისევ დავჯარიმდით შერკინებაში, რასაც ფრანგთა ლელო მოჰყვა, რომელიც აუტიდან კარგად გათამაშების შედეგად გავიდა.

მალევე ანგარიშში სხვაობა შევამცირეთ: მართალია, 5-მეტრიანი შერკინებისას, ბურთი ფრანგებმა შეაგორეს, ჩვენმა მორკინალებმა მეტოქე დაჩაგრეს და მსაჯმაც საჯარიმო ლელო ჩასტვინა, ხოლო აფრასიძემ გარდასახა.

სამაგიეროდ, ანტუან დიუპონმა 68-ე წუთზე იოლად გაჭრა ხაზი, ლელო დადო და თავადვე გარდასახა, რის შემდეგაც მატჩის გადარჩენა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა. მაგრამ ბორჯღალოსნებმა გაიბრძოლეს: ჯერ 76-ე წუთზე ოთარ გიორგაძემ ფრანგებს ლელო დაუდო, აფრასიძემ გარდასახა. მერე იგივე გიორგაძე ფრანგებმა გაჭირვებით შეაჩერეს, რაქიდან კი ლუკა გოგინავამ შეუტია და ფრანგებს მესამე ლელო დაუდო. აფრასიძემ გაწითლებულზე გარდასახა და მატჩიც მორჩა – 27:24 ფრანგთა სასარგებლოდ.

საქართველოს ნაკრებმა ეს მატჩი ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ირაკლი სვანიძე, დავით მესხი, გიორგი კოშაძე, გიორგი კვესელაძე, ალექსანდრე მერკვილიშვილი, ვასილ ლობჟანიძე, გელა აფრასიძე; თორნიკე მატარაძე, ლაშა საჯაია, ლაშა ტაბიძე, მიხეილ ბაბუნაშვილი, ოთარ გიორგაძე, ირაკლი ცხადაძე, გიორგი ცუცქირიძე, ბექა გორგაძე;

შეცვლაზე შევიდნენ: გიორგი ხუროშვილი, უშანგი ჭეიშვილი, ლუკა გოგინავა, დემურ ეფრემიძე, ილია სპანდერაშვილი, დავით მოძღვრიშვილი, მირიან მოდებაძე, სანდრო ილურიძე

## შედეგები

**25 ივნისი**

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**

პოლონეთი-შვეიცარია ......... 1:1(5:4პ)
უელსი-ჩრ.ირლანდია .................... 1:0
პორტუგალია-ხორვატია ........ 1:0(დდ)

**კოპა ამერიკა**

**მე-3 ადგილისთვის**

აშშ-კოლუმბია ................................ 0:1

**აფრიკის ერთა თასი**

სვაზილენდი-დ.კონგო ................... 1:0
ს.აფრიკა-ბოტსვანა ....................... 3:2

# ქართული ნბა ქუთაისურმა გოლდენ სტეიტმა მოიგო

დასაწყისი მე-12 გვერდზე

თანაბარი პირველი პერიოდის შემდეგ ქუთაისელებმა უპირატესობა მოიპოვეს და საბოლოოდ დამაჯერებელი სხვაობით აჯობეს ჰიუნდაის.

ეროვნული ნაკრების კალათბურთელებმა – მანუჩარ მარკოიშვილმა, დუდა სანაძემ, ბექა ბურჯანაძემ და ნიკა მეტრეველმა ოთხთა ფინალის გამორჩეულ მოთამაშეებს საკუთარი და ასევე ნაკრების სხვა წევრთა სათამაშო მაისურები გადასცეს. ესენი არიან: ლევან ტურაშვილი, ანდრია ცერცვაძე (ორივე რუსთავი), ალეკო ვახტანგაძე, გიორგი სულაბერიძე და ცოტნე ვაშაყმაძე (ყველა ქუთაისი), მიშო დაბრუნდაშვილი, ჯორჯ ტაბატაძე (ორივე ჰიუნდაი), ნიკა კინწურაშვილი და გიორგი ოჩხიკიძე (ორივე ბათუმი).

ქუთაისურმა გუნდმა სეზონის ათივე მატჩი მოიგო და ღირსეული ჩემპიონი გახდა. როგორც ამერიკის პროფესიულ ლიგაშია, ჩემპიონებმა საგანგებოდ დამზადებული ბეჭდები მიიღეს.

ტურნირის პირველი გათამაშების უძვირფასესი მოთამაშე გახდა ქუთაისური გოლდენ სტეიტის ლიდერი ცოტნე ვაშაყმაძე, რომელმაც საგანგებო პრიზი ქალთა ნბა-ს ამჟამინდელი მოთამაშისგან – კალანა გრინისგან ჩაიბარა. მასვე საჩემპიონო თასი ევროპაში ნბა-ს სპორტის დესპანმა, პროფესიული ლიგის ყოფილმა მოთამაშე ჟარკო ჩაბარკაპამ გადასცა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## ამერიკელმა საკუთარი თეძოების ნატურალურობა დაამტკიცა

ამერიკის ჯორჯიის შტატის მცხოვრებმა ქალმა სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარი აკაუნტის ხელმომწერებს დაუმტკიცა, რომ მისი 177 სანტიმეტრის თეძოები ფოტოსურათების რედაქტირებისა და ფოტოშოპის გამოყენების შედეგს არ წარმოადგენს.



რეილინმა, რომლის სრული სახელი და ასაკი უცნობია, სოციალური ქსელის მომხმარებელთა შორის პოპულარობა მას შემდეგ მოიპოვა, რაც საკუთარ აკაუნტში საკუთარი სხეულის ქვედა ნაწილის ფოტოსურათების გამოქვეყნება დაიწყო. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გოგონას უზარმაზარმა თეძოებმა მის ხელმომწერებს ეჭვი გაუჩინა. ზოგიერთმა მათგანმა ჩათვალა, რომ გოგონამ მათი ზომა სურათების რედაქტირების გამოყენებით გაზარდა.

იმისთვის, რომ საკუთარი თეძოების ნატურალურობა დაემტკიცებინა, რეილინმა ინსტაგრამში გამოაქვეყნა ვიდეოჩანაწერი, რომელშიც ის ოთახში სიარულის დროსაა გადაღებული. გოგონამ გადაწყვიტა, ასე შეეცვლევინებინა მასზე წარმოდგენა მისი თაყვანისმცემლებისთვის. აღსანიშნავია, რომ მის აკაუნტს ინსტაგრამში 164 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ვიდეორგოლი ჯერ კიდევ 11 მაისს გამოქვეყნდა, მან პრესის ყურადღება მხოლოდ ახლახან მიიპყრო, ხოლო მისი მნახველების რაოდენობამ 192 ათასს გადააჭარბა.

## ავსტრალიელმა წყვილმა 170 კილოგრამი დაიკლო

ავსტრალიის ქალაქ მელბურნის მცხოვრებმა წყვილმა, რომლებიც სიმსუქნისგან იტანჯებოდნენ, ერთიანი ძალისხმევით დაქორწინების შემდეგ 172 კილოგრამის დაკლება მოახერხეს.



2012 წლისთვის შანტელ ფლემინგი, რომლის სიმაღლე 168 სანტიმეტრია, 178 კილოგრამს იწონიდა. მან სწორედ მაშინ გაიცნო ინტერნეტში თავისი მომავალი მეუღლე გრანტი, რომლის წონა იმ დროისთვის 179 კილოგრამს შეადგენდა. თავდაპირველად წყვილი ზედმეტი კილოგრამების მოშორებას სხვადასხვა წამლის დახმარებით ცდილობდა, რომლებიც მადის დაქვეითებაზე იყო გათვლილი, მაგრამ ამან მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა მხოლოდ გააუარესა.

2015 წელს დაქორწინებისა და თანაცხოვრების დაწყების შემდეგ ცოლ-ქმარი კიდევ უფრო მეტად დარწმუნდა, რომ მათი მდგომარეობა უარესდებოდა. მაშინ ავსტრალიელებმა კუჭის შუნტირების ოპერაცია გაიკეთეს და დიეტაზე დასხდნენ. ერთი წლის თავზე 28 წლის შანტელის წონა 85 კილოგრამს, ხოლო 33 წლის გრანტის – 100 კილოგრამს შეადგენს.

ავსტრალიელი წყვილის მომდევნო ნაბიჯი ზედმეტი კანის მოშორების ოპერაცია იქნება, რომელიც გახდომის შედეგად წარმოიშვა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი
### 27 ივნისისთვის



**ვერძი** – მატერიალური მდგომარეობა უკეთესია. ადრე დადებული საქმიანი გარიგებებით კმაყოფილი დარჩებით. **კურო** – ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. თქვენს აქტიურობასა და შრომისმოყვარეობას ხელმძღვანელობა შეამჩნევს. **ტყუპები** – იოლად ნურავის მიენდობით, დიდია მოტყუების ალბათობა. ცდუნებას არ აჰყვეთ. მოქმედება და საუბარი აკონტროლეთ. **კირჩხიბი** – წარმატებას მიაღწევთ ნებისმიერ შემთხვევაში. ამაში თქვენი ჭკუა და პიროვნული მომხიბვლელობა დაგეხმარებათ. **ლომი** – წვრილმანებს ნუ გამოეკიდებით. არ ღირს უბრალო რამეზე ნერვების აშლა. მშვიდად იმუშავეთ. **ქალწული** – აუცილებელი არ არის, ყველაფერი დღესვე მოასწროთ. აქტიურობა და ფიზიკური დატვირთვა დაუშვებელია. **სასწორი** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ნერვებს არ აჰყვეთ. დაისვენეთ. კარგი იქნება წყლის პროცედურები. **ღრიანკალი** – პლანეტები გმფარველობენ. წარმატება გელით პირად ცხოვრებაში. მარტოხელებმა შესაძლოა ცხოვრების თანამგზავრი იპოვოთ. **მშვილდოსანი** – თუ ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდეს შეინარჩუნებთ, ყველაფერი იდეალურად გამოგივათ. ემოციები მოთოკეთ და ეცადეთ, დამოკიდებული არავისზე იყოთ. **თხის რქა** – მეტი დრო დაუთმეთ მეგობრებთან ურთიერთობას. ადრე დაწყებული საქმე აუცილებლად დაამთავრეთ. **მერწყული** – ცხოვრებაში ცვლილებების შეტანის დროა. ოღონდ არ აჩქარდეთ. შესაძლოა ძველი, დავიწყებული კავშირები აღადგინოთ. **თევზები** – ნერვებს გაუფრთხილდით. ყველა საქმე მშვიდად და აუჩქარებლად აკეთეთ. გელით კონფლიქტი ნათესავებთან და მეგობრებთან.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## ებრაელ მეექვსეკლასელებს პორნოს ჩანაწერები დაურიგეს

მეექვსეკლასელ მოსწავლეებს სკოლისა, რომელიც ისრაელის ქალაქ ჰაიფაში მდებარეობს, შეცდომით დივიდი ფირფიტები აჩუქეს, რომლებიც პორნოს ფრაგმენტებს შეიცავდა. ასეთი საჩუქარი მათ დაწყებითი სკოლის დამთავრებასთან დაკავშირებით გადაეცათ.



მშობლებმა, რომლებმაც ამის შესახებ პირველებმა შეიტყვეს, ეს ამბავი სხვა მშობლებსაც შეატყობინეს.

– შოკში ვარ, ასეთი რამ როგორ უნდა მომხდარიყო? ეს ნამდვილი სკანდალია, – ასეთი კომენტარები ახლავს ამ მოვლენას, რომელმაც გამოხმაურება ჰპოვა ებრაულ პრესაში.

სკოლაში განმარტეს, რომ ის, ვინც დივიდი დაამზადა, იყენებდა იმ ფირფიტებს, რომლებზეც ჩაწერილი იყო ფილმები, რომელთა ბოლოშიც პორნოგრაფიული სცენა იყო. ამავე დროს, სასწავლო დაწესებულებაში განაცხადეს, რომ ყველაფერს გააკეთებენ, რათა მსგავსი რამ აღარ გამეორდეს.

აღსანიშნავია, რომ დივიდიზე სკოლის ფოტოებისა და ვიდეოს ჩაწერა იყო დაგეგმილი. ტრადიციულად, მათ ამ სასწავლო დაწესებულების კურსდამთავრებულებს ჩუქნიან.

## სტრიპტიზი ნიუ იორკის მეტროში

ნიუ იორკის მეტროში უცნობმა მამაკაცმა მატარებლის მგზავრების თვალწინ სტრიპტიზი იცეკვა. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეოჩანაწერი სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა ერთ-ერთმა თვითმხილველმა.



მამაკაცმა საცეკვაო ჭოკად მატარებლის ხელის მოსაკიდი ერთ-ერთი ბოძი გამოიყენა. ვიდეოჩანაწერში ჩანს, რომ სტრიპტიზის ცეკვის დროს ვაგონში იმყოფებოდნენ ბავშვები, ხოლო მგზავრების დიდი უმრავლესობა მომხდარს სმარტფონების კამერებით იღებდა.

## მედალი „ლოთობისთვის“ აუქციონზე გაიყიდა




თუჯისგან ჩამოსხმული შვიდკილოგრამიანი მედლის „ლოთობისთვის“ ასლი აუქციონზე 360 ათას რუბლად გაიყიდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი რუსული სააგენტო აუქციონის სახლ „ლიტფონდზე“ დაყრდნობით ავრცელებს.

– კოლექციონერებში დიდი გამოცოცხლება გამოიწვია უნიკალურმა არტეფაქტმა: ყველაზე მძიმე ჯილდომ ისტორიაში – თუჯის მედალმა „ლოთობისთვის“. მისი საწყისი ფასი 80 ათასი რუბლი იყო, მაგრამ ის 360 ათასად გაიყიდა, – ნათქვამია სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ლოტის აღწერილობაში, რომელიც აუქციონის სახლის ვებგვერდზეა განთავსებული, აღნიშნულია, რომ ის პეტრე I-მა 1714 წელს დააწესა, როგორც სასჯელი ლოთობისთვის. მძიმე მედალს დამნაშავეს კისერზე ისე ჰკიდებდნენ, რომ მისი მოხსნა დამოუკიდებლად შეუძლებელი იყო. სავარაუდოდ, ის დამნაშავეს ერთი კვირა უნდა ეტარებინა.

მედლის ზუსტი ასლი, რომელიც აუქციონზე გაიყიდა, 1914 წელს სანკტ-პეტერბურგის იუბილესთან დაკავშირებით დამზადდა.

## უკრაინაში ჩუპაკაბრა მოკლეს

უკრაინის ჩერნოვიცკის ოლქის სოფელ რუკშინში მოკლეს უცნობი სახეობის ცხოველი. ის საკუთარ ფარეხში ნახა და ფიწალით ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა მოკლა.

ცხოველი სოფლელების მეურნეობას ატერორებდა. იტაცებდა წიწილებსა და სხვა ფრინველებს. ადგილობრივები დარწმუნებულნი არიან, რომ ის ჩუპაკაბრაა. მათ ცხოველის ლეში ვეტერინარებს გადასცეს, რომლებიც, თავის მხრივ, ვერ გარკვეულან, თუ რა მტაცებელ ცხოველთან აქვთ საქმე.



– არაბუნებრივად გრძელი კბილები აქვს. ძაღლს ასეთი კბილები არ აქვს, გრძელი უკანა ფეხები, გრძელი კისერი და ყურები. მისი ყურები აფრიკული მელიის ყურებს ჰგავს, – აღნიშნა რეგიონული სახელმწიფო ვეტერინარული მედიცინის ლაბორატორიის დირექტორმა ვალერი დოპირიაკმა.

ადგილობრივები ფიქრობენ, რომ ამ არსებას თანამოძმეები ჰყავს და ისინი მეტყევეებთან ერთად აპირებენ ტყის საგულდაგულოდ დათვალიერებას.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სოციალურ ქსელებში „ირანელი ჰალკი“ გამოჩნდა

საჯად გარიბი, რომელსაც ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ „ირანელი ჰალკი“ უწოდა, სოციალური ქსელების მომხმარებელთა შორის პოპულარობა მას შემდეგ მოიპოვა, როდესაც ინსტაგრამში საკუთარი ფოტოსურათების განთავსება დაიწყო. სოციალურ ქსელში 155-კილოგრამიანი მამაკაცის აკაუნტს 70 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 24 წლის გარიბი ძალოსნობითაა დაკავებული და, მიუხედავად დიდი წონისა, სიმსუქნე არ აწუხებს, პირიქით, მისი წონის უდიდესი ნაწილი კუნთებზე მოდის. აღსანიშნავია, რომ „ჰალკს“ 175 კილოგრამამდე წონის შტანგის აწევა შეუძლია. ის ქვეყნის სახელით ბოდიბილდინგის ტურნირებსა და პაუერლიფტინგის კონკურსებში მონაწილეობს.

ირანელი ძირითადად ხელმომწერებს საკუთარი ცხოვრების ამსახველ კადრებს უზიარებს და კამერის წინ მსუბუქი ტანსაცმლით ან წელამდე მის გარეშე პოზირებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სკანვორდი



1. ბევრ ცხიმში შემწვარი თევზი; 2. დილის ჰანგი; 3. იაპონელი მებრძოლი (ძველად); 4. სამიანი ნარდში; 5. სამხედრო ყაიდის ქურთუკი; 6. პატარა ზომის კენგურუ; 7. სანტა კლაუსის სამშობლო; 8. დენის წინაღობის ერთეული; 9. მხარე დასავლეთ საქართველოში; 10. ცხენის ნაირგვარი სვლა; 11. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 12. საომრად შეიარაღება; 13. მდინარე კახეთში; 14. სვანთა ქალღმერთი; 15. ჯადოქრობა, მისნობა; 16. 3-4 წლიანი ცხენების დოღი; 17. ასო „რ“-ს სახელწოდება; 18. კეთილთვისებიანი სიმსივნე; 19. ერთ-ერთი რელიგია; 20. მუთაქებიანი დივანი; 21. ხელოსანთა ამქრის უფროსი (ძვ.); 22. სპექტაკლის პირველი წარმოდგენა; 23. იაპონური ჭიდაობა; 24. ბერძნული ანბანის ასო; 25. თუთიყუში; 26. ... სიბელიუსი; 27. წონის ძველებური ერთეული; 28. თხელი გამჭვირვალე ქსოვილი; 29. ციხე-საპყრობილე პარიზში; 30. კოსმოსი დედამიწის ჩათვლით; 31. ალგორითმული ენა; 32. სტალონეს მეტსახელი; 33. ინგლისელი პოეტი.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ტანინი; 2. ლეკალო; 3. რანდი; 5. ბიზე; 6. ჩაფარი; 8. პიარნუ; 11. პეტრიწონი; 13. დიაფანი; 14. კაზუარი; 15. ბაობაბი; 19. გოია.

**თარაზულად:** 1. ტრაფალგარი; 4. დამბაჩა; 7. ნალჩიკი; 9. დამიანე; 10. ოპელი; 12. აერობუსი; 16. ფუფუნება; 17. კარიესი; 18. ცუგცვანგი; 20. ნექტარი; 21. რიფი; 22. საქსაული.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. გორგოძე; 2. კუბელიკი; 3. სიგნატურა; 4. დესპანი; 5. მეტრანპაჟი; 10. ლუგელა; 11. ხელბურთი; 12. კამპუსი; 13. შარიათი; 16. ჯალამბარი; 17. გრიზაილი; 19. აფშერონი; 21. ბოლტი; 23. ვარდი.

**თარაზულად:** 6. პორტუგალია; 7. მეეზოვე; 8. ჯოყოლა; 9. ტალახაძე; 14. ნარიყალა; 15. ჰემინგუეი; 18. კათხა; 20. ღრუბელი; 22. დივიზია; 24. ლონდრე; 25. ფავორიტი; 26. ნადალი.

# ეკა ანდრონიკაშვილი მეორე ბიჭის დედა გახდა



კინომსახიობთა თეატრის მსახიობი ეკა ანდრონიკაშვილი მეორე ბიჭის დედა გახდა.

მსახიობს პატარა ნიკოლოზი ამერიკაში შეეძინა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს. მსახიობი სოციალურ ქსელში პატარასთან ერთად გადაღებულ ერთობლივ ფოტოსაც აქვეყნებს.

ეკა ანდრონიკაშვილის უფროსი შვილი, ლუკა ნაკაშიძე, 23 წლისაა. მისი მამა კინომსახიობთა თეატრის მსახიობი გიორგი ნაკაშიძეა. გიორგიმ და ეკატერინემ ერთად 11 წელი იცხოვრეს და დაშორდნენ.

ეკატერინე ამერიკაში ცოტა ხნის წინ წავიდა, სადაც მეორე შვილი გააჩინა. მსახიობი სოციალურ ქსელში უამრავ დადებით კომენტარსა და საუკეთესო სურვილებს იღებს.

# ქართველმა მეცოსოპრანომ იტალიაში პირველი ადგილი მოიპოვა



ახალგაზრდა ქართველმა მეცოსოპრანო ნანიკო ძიძიგურმა იტალიის ქალაქ ბუსეტოში გამართულ რიგით 54-ე საერთაშორისო კონკურსზე „ვერდის ხმები" პირველი ადგილი მოიპოვა.

მეორე ადგილზე იტალიელი სოპრანო კლარისა კონტანცო და სამხრეთკორეელი ბარიტონი ჩო ბიონგიკი გავიდნენ, მესამე ადგილი კი ტაივანელმა სოპრანო კენგ ლიმ დაიმსახურა.

წელს კონკურსში საქართველოდან სამი მომღერალი მონაწილეობდა: მეცოსოპრანო ნანიკო ძიძიგური, ბანი გიორგი ანდღულაძე და მეცოსოპრანო თინათინ ნებურიშვილი.

ფინალში გიორგი ანდღულაძე და ნანიკო ძიძიგური გავიდნენ, მათგან გამარჯვება და პირველი ადგილის მოპოვება კი ნანიკომ შეძლო.

ბუსეტოში გამართულ საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობდნენ კონკურსანტები საქართველოდან, იტალიიდან, ტაივანიდან, ჩინეთიდან, სამხრეთ კორეიდან, ამერიკიდან და რუსეთიდან.

# ქეთი ფარესაშვილი ონკოლოგიით დაავადებულებისთვის იმღერებს



„არ დანებდე" – ასე ეწოდება მომღერალ ქეთი ფარესაშვილის საქველმოქმედო კონცერტების სერიას, რომელიც ონკოლოგიით დაავადებულებს ეძღვნება.

„სამბის" ქართველმა დედოფალმა ორი კონცერტი უკვე ჩაატარა და ახლა უკვე გრანდიოზული კონცერტისთვის ემზადება, სადაც, მის გარდა, მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი ჯაზშემსრულებლები.

პირველი კონცერტი მან ზაზანოვაში ჩაატარა, რომელიც მთლიანად ონკოლოგიური პრობლემების მქონე პაციენტების მიეძღვნა. ონკოსაავადმყოფოში გაიხსნა ონკოფსიქოლოგიური განყოფილება, რომელიც ბევრ ადამიანს უწევს საჭირო დახმარებას. ამ დეპარტამენტის სახე, ელჩი და დესპანი ქეთი ფარესაშვილია.

– 8 ივლისს კლუბ „ოტიუმში" პროექტ „ონკოლოგიური სიფხიზლის" ფარგლებში დავგეგმეთ საქველმოქმედო საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართველი ჯაზშემსრულებლები. ინიციატივა თბილისის ონკოლოგიურ ცენტრს ეკუთვნის. ჩემს აქტივობებსა და საქველმოქმედო საღამოებს ვუძღვნი ონკოლოგიით დაავადებულებს.

ორი უკვე საღამო ჩატარდა, 8 ივლისს კი უფრო ფართო მასშტაბით ჩავატარებთ აქცია-საღამოს. ასევე ორი ახალი დისკის პრეზენტაცია მექნება და ის მთლიანად მიეძღვნება ონკოლოგიით დაავადებულებს, – განაცხადა მომღერალმა.

# სკანდალი მის მკერდის კონკურსზე



სილამაზის კონკურსი მის მკერდი საქართველოში პირველად ჩატარდა. ჟიურიმ საუკეთესო მკერდის მქონედ 18 წლის ნინო გოგავა დაასახელა 5 ზომა მკერდით და მასთან ერთად რამდენიმე ნომინაციაში გამარჯვებული კონკურსანტიც დააჯილდოვა.

ვიცე მის მკერდის ტიტული ანა მარიდაშვილმა მოიპოვა, მის დეკოლტეს წოდება კი – ჟურნალისტმა ნინო ჭელიძემ. ყველა გამარჯვებულს შესაბამის ნომინაციაში გამარჯვების დამადასტურებელი ლენტი გადაეცა. მის დეკოლტეს ნომინაციაში გამარჯვებულმა ნინომ მიიღო ლენტი წარწერით „მის დეკოდტე", რასაც ჟურნალისტი ასე გამოეხმაურა:

– ისეთი ტიტული მაქვს, საქართველოში მეორეს არავის ექნება.

ლენტზე მარკერით გაკეთებული წარწერა ქართველი საზოგადოების გართობის ერთ-ერთი მთავარი თემა გახდა.

როგორც სილამაზის კონკურსის ორგანიზატორებმა ნინო ჭელიძეს განუმარტეს, მხატვარი, რომელმაც ეს ლენტი დაამზადა, დაღლილი იყო და შეეშალა.

# განო მელითაური ტურისტული კომპანიის მსხვერპლი გახდა



მსახიობ კოტე თოლორდავას ქვრივი განო მელითაური ერთ-ერთი ტურისტული კომპანიის მსხვერპლი გახდა. 36-კაციანი ჯგუფი განო მელითაურისა და მისი კურსელების შემადგენლობით ვარშავაში უნდა გაფრენილიყო, მაგრამ ტურისტულმა კომპანიამ მათი ფული მიითვისა.

– ქუთაისის აეროპორტში გავიგეთ, რომ ბილეთები, რომლებიც ჯერ კიდევ მარტში შევიძინეთ, იყო ყალბი და ჩვენ სერიოზული აფერის მსხვერპლი აღმოვჩნდით. კერძოდ, ტურისტულმა კომპანია ,,ტუო თრეველმა", რომელიც ჩვენი ჯგუფის გამგზავრებას უზრუნველყოფდა, არ იყიდა ჩვენ მიერ გადარიცხული თანხით ბილეთები და კოდი, რომელიც გამოგვიგზავნეს, არ იყო სისტემაში შეყვანილი, – წერს განო მელითაური.

ჯგუფი ვარშავაში სექტემბერში წავა.

# „გამოვაცხადოთ ვაჟას დღე მედიაში!"



– გამოვაცხადოთ ვაჟას დღე მედიაში! – ამ ინიციატივით ვაჟა-ფშაველას შთამომავალი ლელა რაზიკაშვილი გამოდის.

წელს, 14 ივლისს, ვაჟას დაბადებიდან 155 წელი სრულდება. ეს თარიღი უკვე წლებია, ტრადიციული ვაჟაობით აღინიშნება, თუმცა წელს ეს დღე სულ სხვა ფორმატით იქნება წარმოდგენილი.

**ლელა რაზიკაშვილი:**

– ამ წლის 14 ივლისს ყველა ჟურნალისტს, ვისაც ექნება სურვილი და საშუალება, ვეპატიჟები ჩარგალში, ვაჟას სახლ-მუზეუმში, ღონისძიებაზე, რომელსაც პირობითად ერქმევა ასე – ,,მედია კითხულობს ვაჟას!"

ბევრ საინტერესო ისტორიას მოვუყვებით ერთმანეთს ვაჟაზე, წარსულზე, მომავალზე, წავიკითხავთ ლექსებსაც, გამოჩნდება, ვინ უკეთ...

გვექნება მხატვრული პროგრამა და რამდენიმე სახალისო შეჯიბრებაც, თუ თქვენი სურვილი იქნება, მედიადოღიც!

მოკლედ, 14 ივლისი ვაჟას დღე მედიაში და მედიისგან ყველასთვის!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

კალეიდოსკოპი

## ტეხასელმა შვილი მაცივარში მოათავსა, თავად კი ციხეში აღმოჩნდა



ტეხასის ქალაქ დალასის მცხოვრებს საკუთარი ექვსი თვის გოგონას მკვლელობის ბრალდება წაუყენეს, რომელიც მან მაცივარში მას შემდეგ მოათავსა, როდესაც ის ავტომობილში სიცხისგან გაიგუდა.

დილით 33 წლის მაიკლ ტედფორდმა თავისი ორი შვილი საბავშვო ბაღში წაიყვანა მანქანით, სახლში დაბრუნებული კი დაწვა და დაიძინა. რამდენიმე საათის შემდეგ გაღვიძებულს გაახსენდა, რომ მანქანის უკანა სავარძელზე დარჩა თავისი ექვსი თვის გოგონა, ამ დროს კი მანქანის გარეთ ჰაერის ტემპერატურა ცელსიუსით 32 გრადუს სიცხეს შეადგენდა.

მამაკაცი უშედეგოდ ცდილობდა, გოგონა გონზე მოეყვანა. მაშინ მან გადაწყვიტა, ის გაურკვეველი დროით მაცივარში მოეთავსებინა. გაცივების შემდეგ მან ბავშვი მაცივრიდან გამოყვანა და მის მოსულიერებას ხელოვნური სუნთქვის დახმარებით შეეცადა, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო. მან მხოლოდ ამის შემდეგ დაურეკა მეუღლეს და გამოიძახა სამაშველო სამსახური.

შემთხვევის ადგილზე მისულმა კოლინის ოლქის პოლიციელებმა ამჟამად უმუშევარი მასწავლებელი ტედფორდი დააპატიმრეს.

## გოგონა დინოზავრის კოსტიუმში გაიჭედა



ამერიკის ალაბამის შტატის მცხოვრები გოგონა იასამნისფერი დინოზავრის – სატელევიზიო სერიალ „ბარნი და მეგობრების" გმირის კოსტიუმში გაიჭედა. ვიდეოჩანაწერი, თუ როგორ ათავისუფლებდნენ გოგონას გამოგონილი ცხოველის კოსტიუმიდან, ტვიტერში ერთ-ერთი თვითმხილველის აკაუნტში გამოქვეყნდა და სამ დღეში მან ორი ათასზე მეტი მოწონება მიიღო.

ასევე სოციალური ქსელის მომხმარებელმა გამოაქვეყნა რამდენიმე ფოტოსურათიც, რომლებზეც ჩანს, თუ როგორ დაეხმარნენ დინოზავრის კოსტიუმიდან გათავისუფლებაში ადგილობრივი მეხანძრეები. რა ხნის განმავლობაში ვერ ახერხებდა გოგონა დინოზავრის კოსტიუმიდან თავის დაღწევას, უცნობია.

## ინდოეთში სელფის შვიდი სტუდენტი ემსხვერპლა

ინდოეთის ჩრდილოეთ ნაწილში შვიდი სტუდენტი დაიხრჩო მდინარე განგში, როდესაც ერთ-ერთმა მათგანმა ეფექტური სელფის გადაღება მოინდომა. ამ ინფორმაციას ინდური პრესა უტარ-პრადეშის შტატის ქალაქ კაპურის პოლიციაზე დაყრდნობით ავრცელებს.



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რვა ახალგაზრდისგან შემდგარი კომპანია მდინარის სანაპიროს ძლიერი წვიმის დროს მიუახლოვდა. ერთ-ერთი მათგანი მაღალი ნაპირის კიდეზე დადგა, რათა სურათი გადაეღო, მაგრამ ადიდებულ მდინარეში ჩავარდა. მისი ექვსი მეგობარი ერთმანეთის მიყოლებით გადახტა განგში, რათა მეგობარი გადაერჩინათ, მაგრამ ყველანი სწრაფმა დინებამ გაიტაცა და მდინარიდან თავის დაღწევა ვერ შეძლეს.

ერთადერთმა გადარჩენილმა დასახმარებლად მაშველები გამოიძახა, მაგრამ, როდესაც ისინი შემთხვევის ადგილზე მივიდნენ, უკვე ყველა დაღუპული იყო.

## ანორექსიით დაავადებული იტალიელი ინსტაგრამის წყალობით განიკურნა



იტალიის ქალაქ პადუას მცხოვრებმა გოგონამ აღიარა, რომ ანორექსიისგან სოციალურ ქსელ ინსტაგრამის წყალობით განიკურნა.

2013 წელს სილვია ფაშანსის წონა 44 კილოგრამს შეადგენდა, მაშინ როდესაც მისი სიმაღლე 177 სანტიმეტრია. იტალიელი გოგონას თქმით, წონის დაკარგვის მიზეზი დეპრესია იყო, რომელიც ბებიის გარდაცვალებითა და მარტო დარჩენით იყო გამოწვეული, ასევე მასთან ურთიერთობა გაწყვიტეს მისმა თანატოლებმა. გოგონამ ინსტაგრამის დახმარებით შეიტყო იმ გოგონების შესახებ, რომლებიც ასევე იტანჯებოდნენ ანორექსიისგან, მაგრამ სპორტისა და სწორი კვების წყალობით დაავადებას გაუმკლავდნენ.

გოგონამ მათ მიბაძა, დაიწყო სავარჯიშო დარბაზებში სიარული და იზრუნა საკუთარ რაციონზე. ამჟამად 22 წლის სილვია რეგულარულად აქვეყნებს სოციალურ ქსელში საკუთარ აკაუნტში ფოტოსურათებსა და ვიდეორგოლებს, რომლებზეც მისი ვარჯიშია ასახული.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# TV პროგრამა

**ორშაბათი 27 ივნისი**

**07.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.15** "მოამბე" **08.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ცოდვა და სირცხვილი**" **12.30** დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "ხანმოკლე XX საუკუნე" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** "ევრო – 2016" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **18.00** "კომუნიკატორი" **19.25** ევრო-2016. **19.50** **ფეხბურთი** ევრო 2016. 1/8 ფინალი. **22.00** ევრო-2016. **22.50** **ფეხბურთი** ევრო 2016. 1/8 ფინალი. **01.00** ევრო-2016. **01.25** მხ/ფ "**მდინარე**" (მ.გიბსონი) **03.30** "ხანმოკლე XX საუკუნე" **04.00** "პირადი ექიმი"

**08.00** დ/ფ "ლეტეცია და მისი მგლები" **09.00** მხ/ფ "**ტყუპები**" **10.40** დ/ფ "რომი" **11.10** ქართ. მხ/ფ "**ჩვენი ეზო**" **12.35** დ/ფ "გერმანია" **13.00** დ/ფ "შუა საუკუნეების მანერები" **14.00, 18.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **17.00** "პოლიტალტერნატივა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (5 ენაზე) **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.00, 14.40** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბამბის ველი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.30** მხ/ფ "**მეფის სახელით 3**" **02.30** მხ/ფ "**ნოკაუტი**" **04.15** მხ/ფ "**ამერიკელი ცოლი**"

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**ცხოვრების გზები**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** X-ფაქტორი **00.00** გააცინე და მოიგე **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 2.50** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00** სერ. "**ძვლები**" **15.00** შუადღე **17.30** ცოლები და ქმრები **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 22.30** სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" **0.00** სერ. "**ჯოჯოხეთი ბორბლებზე**" **1.00** მხ/ფ

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ივერიის ეკლესია **06.35** პატერიკი **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** განთიადი" **10.00** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**დიდედები და შვილიშვილები**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** ერთხელ ბავშვობაში **15.45** მარხვისა და სინანულის შესახებ-მეუფე დანიელი **16.15** სპექტაკლი "**გუშინწინ, გუშინ, დღეს...**" **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**ათოვდა ზამთრის ბაღებს**" I სერ. **20.30** პეტრე-პავლობის მარხვა **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** პატერიკი **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.25** საქართველოს სამართლის ისტორია **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დიდ ხარ შენ უფალო... **00.25** დ/ფ "ღირსი მამა ექვთიმე ათონელი" **01.00** "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ბერძენი ქალი**" **9.25** ევროპის ჩემპიონატის დღიურები **10.05** სერ. "**ტატიანა**" **11.05** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **13.00, 14.05, 1.00** სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ქალთა ექიმი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ქალბატონი**" **21.40** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.35** სერ. "**უცხო შინაურებს შორის**" **23.30** სერ. "**ჯუნა**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


27 ივნისისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.2941

ევრო — 2.5377

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1443

100 რუსული რუბლი — 3.5037

**ამინდის პროგნოზი 27 ივნისისთვის**





## 24 ივნისიდან

გიორგი ლეონიძე

**ნატვრის ხე**

მაგარი ყდა,
252 ილუსტრირებული
ფერადი გვერდი

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**





## ბრიტანელმა, ბარბის რომ დამსგავსებოდა, 14 ათასი დოლარი დახარჯა



შვედეთში მცხოვრებმა ბრიტანეთის მოქალაქე გოგონამ 10 ათასი ფუნტი სტერლინგი (14 ათას დოლარზე მეტი) დახარჯა პლასტიკურ ოპერაციებში, რათა თოჯინა ბარბის დამსგავსებოდა.

26 წლის ალისია ამირამ მკერდისა და ტუჩების გადიდების ოპერაცია გაიკეთა. ასევე ის რეგულარულად იკეთებს შუბლზე, თვალების გარშემო და ლოყებზე ბოტოქსის ინექციას. გოგონა ასევე აპირებს, გაიდიდოს დუნდულები და მკერდის ოპერაცია განმეორებით ჩაიტაროს.

ადრე ამირა თავის ხარჯებს, რომლებიც სხეულის ფორმების შეცვლასთან იყო დაკავშირებული, პიარ-აგენტად მუშაობის წყალობით ფარავდა. ახლა ის სამსახურიდან გათავისუფლდა, რათა მთელი დრო საკუთარ გარეგნობაზე მუშაობას მიუძღვნას.

— ზოგიერთი ადამიანი მე შეშლილად მიმიჩნევს, მაგრამ მე ჩემს ოპერაციებს სულაც არ ვნანობ. მინდა, ნამდვილ თოჯინას დავემსგავსო და საკუთარი მაგალითით სხვა გოგონებსაც ვუბიძგო გარეგნობის შეცვლისკენ, — განაცხადა ამირამ.

## ავსტრალიის ზოოპარკში უიშვიათესი კენგურუ დაიბადა



ავსტრალიის ქალაქ პერტის ზოოპარკში ბოლო 36 წლის განმავლობაში პირველად დაიბადა ხის კენგურუ. ცხოველის ვიდეო, რომელიც დედის ჩანთაში ზის, ორი დღის წინ ერთ-ერთ ადგილობრივ გამოცემაში გამოქვეყნდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პატარა კენგურუ ექვსი თვის წინ დაიბადა, მაგრამ ზოოპარკის ხელმძღვანელობამ ის საზოგადოებას მხოლოდ ახლახან უჩვენა.

ამ ცხოველის სამშობლოდ პაპუა — ახალი გვინეია ითვლება. ხის კენგურუების გამრავლების საერთაშორისო პროგრამის მონაცემებით, ამჟამად მსოფლიოში ამ სახეობის მხოლოდ 15 მამრია დარჩენილი, მათ შორის ეს ახალშობილიც.

## ნიუ იორკის ტკბილეულის მაღაზიაში ნარკოტიკების საწყობი აღმოჩნდა

ნიუ იორკში ტკბილეულების მაღაზიაში, რომელიც ქალაქის ბრუკლინის რაიონში მდებარეობს, პოლიციელებმა ნარკოტიკების საწყობი აღმოაჩინეს. ამ ინფორმაციას ადგილობრივი მედია ავრცელებს.



ადგილობრივი საგადასახადო სამსახურისა და ფინანსების დეპარტამენტის თანამშრომლები ტკბილეულის მაღაზიის არაგეგმიურ შემოწმებას ახორციელებდნენ. შემოწმების დროს მათ საეჭვო სამალავს მიაგნეს, რომელსაც ჩვეულებრივ სიგარეტების შესანახად იყენებდნენ. ამის თაობაზე მათ ნიუ იორკის პოლიციის დეპარტამენტს აცნობეს. ამის შემდეგ ადგილზე გამოცხადდნენ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები. ჩხრეკის შედეგად მაღაზიაში აკრძალული ნივთიერებები, ასევე მათი ასაწონი დასაფასოებელი მოწყობილობები, შესაფუთი და გამხსნელი მასალები იქნა აღმოჩენილი.

როგორც ტვიტერში პოლიციის 83-ე განყოფილების გვერდი იუწყება, ნაპოვნი ნივთიერებები პოლიციის სატვირთო მანქანის საბარგულში არ ჩაეტია.

ამ ოპერაციის შედეგად ნიუ იორკის ქუნსის რაიონის 33 წლის მცხოვრები და მანჰეტენის მცხოვრები 46 წლის მცხოვრები, რომელთა ვინაობას პოლიცია არ ამხელს, დაპატიმრებულნი არიან. ორივე მამაკაცს ნარკოტიკების შენახვის, მათი დასამზადებელი მოწყობილობების უკანონოდ გამოყენებისა და აღნიშნული ნივთიერებებით განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ვაჭრობა ბრალდებათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



●●●

ცოლ-ქმარი ფილმ „ბაში-აჩუკს“ უყურებს, ის ეპიზოდია, როდესაც ყიზილბაში მოქნეულ ხანჯალს გააჩერებს და ბაში-აჩუკის დას ეტყვის: „შენმა სილამაზემ გადაგარჩინა“...

ქმარი ცოლს მიუბრუნდება და ეტყვის:

— დედაკაცო, კიდევ კარგი, ეგ თათარი შენ არსად გადაგეყარა...

— ვითომ რატა!

— რატა და შიგ ჯიგარში გაგიყრიდა დანასა!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

— როგორ არის შენი საქმე?

— ცუდად!

— რა მოხდა?

— გუშინ პოლიკლინიკაში ვიყავი. წარმოგიდგენია, წნევა 120 80-ზე მაქვს, ხოლო პულსი — 60.

— მერე, მასეც უნდა იყოს.

— ულამაზესი ექიმი შენს ხელს ხელში რომ აიღებს და პულსიც კი არ აგიჩქარდება... აი, ამაშია საქმე.

●●●

ახალგაზრდა მამაკაცი ქალთან ერთად შედის ბარში. ქალი კაცს შარვლის უბეს გაუხსნის, შიგნით ხელს ჩაუყოფს და ამ დროს ბარმენს მიმართავს:

— ყავა, თუ შეიძლება.

— მაგარი?

— ეს უკვე შენ არ გეხება!

●●●

ორი ქალი მატარებლით მგზავრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

— ეს ცხოვრება კი არა, სრული უაზრობა, მოწყენილობაა.

— შენც ადექი და საყვარელი გაიჩინე თვეში 500 დოლარად!

— მასეთი სად მოვძებნო?

— მაშინ ორი მოძებნე თითო 250 დოლარად.

— ეგეც პრობლემაა.

— მაშინ ოთხი, თითო 125 დოლარად!

ამ დროს ზედა თაროდან მამაკაცი ქალებს მიმართავს:

— 5 დოლარზე რომ ჩამოხვალთ, გამაღვიძეთ.

●●●

ქმარმა გადაწყვიტა, საყვარელი გაეჩინა, მაგრამ ცოლმა გადააფიქრებინა:

— ფინანსურად ვერ გავქაჩავთ, ჯობია, მე გავიჩინო საყვარელი, ორ კაპიკს მაინც შემოვიტან სახლში.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 29 ივნისიდან




**მსოფლიო ისტორიის ატლასი**

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**

## 28 ივნისიდან

თედორე დოსტოევსკი

**დანაშაული და სასჯელი**




**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**


## ქართული ნბა ქუთაისურმა გოლდენ სტეიტმა მოიგო

დასრულდა საქართველოში ნბა-ჯუნიორის ლიგის პირველი გათამაშება. ტურნირს, რომელმაც მთელი საქართველო მოიცვა, ორგანიზება საქართველოს კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ, საქართველოში ამერიკის საელჩომ, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის საგანმანათლებლო და კულტურული ურთიერთობის ბიურომ, ამერიკის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ნბა-ჯუნიორის განყოფილებამ და ნბა-ს ევროპის ოფისმა გაუწიეს.



ტურნირი ამერიკის პროფესიული საკალათბურთო ლიგის ანალოგიურად ჩატარდა და მასში 30-მა გუნდმა მიიღო მონაწილეობა, რომლებსაც თავდაპირველი კენჭისყრის შედეგად ნბა-ს გუნდების სახელები მიენიჭათ.

როგორც ამერიკის პროფესიულ ლიგაში, მონაწილენი 6 დივიზიონში გადანაწილდნენ. თელავში, ქუთაისში, გორში, ბათუმში, რუსთავსა და თბილისში ჩატარებული დივიზიონის მატჩების შედეგად პლეი ოფის 16 მონაწილე შეირჩა. დასავლეთ კონფერენციის 8 საუკეთესო ქუთაისში შეიკრიბა, ხოლო აღმოსავლეთის — თბილისში. გამართული საპლეიოფო მატჩების შემდეგ ორივე კონფერენციის 2 საუკეთესო გუნდი გამოვლინდა, რომლებიც ოთხთა ფინალის სათამაშოდ თბილისში შეიკრიბნენ.

დასავლეთ კონფერენციის ფინალში ქუთაისის გუნდმა, რომელიც გოლდენ სტეიტს წარმოადგენდა, დალას მავერიკსის სახელით მოასპარეზე აჭარის ნაკრები დაამარცხა. აღმოსავლეთ კონფერენცია ფილადელფიამ (ჰიუნდაი) მოიგო, რომელმაც კლივლენდის სახელით მოასპარეზე რუსთაველებს მოუგო.

მე-3 ადგილისთვის კლივლენდმა დალასს სძლია. ფინალური მატჩი კი საკმაოდ საინტერესო და დაძაბული გამოდგა, რომელსაც საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრები, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ამერიკის საელჩოს წარმომადგენლები დაესწრნენ.


გაგრძელება მე-9 გვერდზე


## კროსვორდი



**თარაზულად:** 5. საფოსტო კარეტა ძველად; 7. ბრალდებულის წამება გახურებული შანთით; 8. ურანის თანამგზავრი; 10. ერთგვარი ყავა; 12. გასანათებელი ხელსაწყო; 13. პოეტ-მომღერალი შუა აზიაში; 14. ფრანგული ვაშლის ღვინო; 18. მოხარშული ცომის ნაჭრები; 20. ჰიგიენური საშუალება; 23. მლაშე კრისტალური ნივთიერება; 24. ცხოველთა მეფე; 25. ზღაპრული ცხენი; 26. პირობითი ნიშნების სისტემა; 27. სხვადასხვა პროცესის რაოდენობრივი დამოკიდებულების ნახაზი.

**შვეულად:** 1. ნახატი ზღვის ხედით; 2. ბოსტნეული მცენარე; 3. ლომების ოჯახი; 4. ფარმაცევტული პრეპარატების სინთეზირებისას გამოყენებული ორგანული ნაერთი; 6. ლექსის სიტყვებზე დაწერილი პატარა ვოკალური ნაწარმოები; 9. ინგლისის ყოფილი პრემიერ-მინისტრი; 11. ხელოვნური ბოჭკო; 15. ქანქარის უდიდესი გადახრა წონასწორობიდან; 16. სახელმწიფო აზიაში; 17. საერთო სახურავის მქონე კოლონების მწკრივი; 19. „სამი მუშკეტერის“ პერსონაჟი; 21. მარილნახშირმჟავა მინერალური წყალი; 22. უეცარი შიში, ელდა.

**შეადგინა ოლივერ კოხიამ**